წელიწადი პირველი ფასი 5 კაპ. ხუთშაბათი, 29 ოქტომბერი 1915 წ. № 129

# საქართველო

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „საქართველოს“ რედაქციასა და კანტორაში ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9—3-მდე.
ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობანი.
რედაქცია და კანტორა იმყოფება: თბილისში, მოსკოვის ქუჩაზე, № 4.
ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისათვის:
Тифлисъ, редакція „Сакартвело“, поч. ящикъ № 76

განცხადების ფასი
ჩვეულებრივი განცხადებანი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე—10 კ., სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან., 4 საათის შემდეგ (მიიღება მხოლოდ გაბაშვილის შესახვევში, ა. კალანდაძის სტამბაში ეღირება 4 მანეთი.
დამატებიანი № ღირს ყველგან 7 კაპ.


## საქართველოს კანტორისაგან

გაზეთი „საქართველო“ 1 ნოემბრიდან წლის დამლევამდე ღირს 1 მან.—60 კაპ.

მოვაგონებთ იმ ხელის მომწერთ, ვისაც ხვედრი ფული არ აქვს გადახდილი გაზეთის გზავნა შეუჩერდებათ.

მისამართი: г. Тифлисъ, редакція „Сакартвело“, Московская 4, поч. ящикъ 76.

კანტორა უმორჩილესად სთხოვს თბილისის ხელის მომწერთ დაუყოვნებლივ აცნობონ კანტორას თუ ოდესმე მათ გაზეთი არ მიუვათ.

## პროვინციელ აგენტების საყურადღებოდ

აცხადებს გაზეთ „საქართველოს“ რედაქცია, რომ პირველ ოქტომბრიდან გაზეთი „საქართველო“ გადაეცა კანტორა „განათლებას“. თუ რომელიმე აგენტს, რამდენი სჭირია ხსენებული გაზეთი, დაუყოვნებლივ აცნობოს კანტორა „განათლებას“.

„საქართველოს“ რედაქცია.

## „ხარფუხის საზოგადო კლუბში“

29 ოქტ.—1 ნოემბრამდე იქნება შემდეგი გასართობები:

ხუთშაბათი 29 ოქტომბერი, სიმებიანი ორკესტრი პრესმანისა.
პარასკევი. 30 ოქტომბერს, სინემატოგრაფი და საზანდარი.
შაბათი, 31 ოქტომბერს, სიმებიანი ორკესტრი პრესმანისა.
კვირა, მუსიკალური საღამო პრესმანის ლოტბარობით.

ხილეული, მადნეული და სამკურნალო წყლის
— ქარხნები —
## მ. ე. ლაღიძე და ამხ.

თბილისში, გოლოვინის პრ. № 6. ქუთაისში, პუშკინის ქ. № 5.

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების საყურადღებოდ!

ხილეული წყლის მხმარებელი საზოგადოების ჯანმრთელობის ინტერესი მოითხოვს: სვან ყოველთვის მხოლოდ და მარტო მიტროფანე ლაღიძის და ამხანაგების ქარხნის საუკეთესო ხილეული მადნეულის სამკურნალო წყალი. მხოლოდ ლაღიძის წყალი მზადდება უმაღლესი ღირსების ბუნებრივი მასალებისაგან, განსაკუთრებული წესით ნადუღი და გამოხდილი წყლით. გაუფრთხილდით ყალბ მიმბაძველებს, რომელთა რიცხვი მეტად გამრავლდა, მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი ლაღიძის წყალი, გემო და სუნი საამური აქვს და ჯანმრთელობისთვის სრულიად უვნებელია.

## გადაწერას საწერ მანქანის საშუალებით და საწერ მანქანაზე მუშაობის სწავლებას

ხელმისაწვდომ ფასებში ჰკისრულობს
## ი. თ. გვათუას კანტორა
ვერის დაღმართი № 1
ტელეფონი 17—05

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
## კალანდარიშვილი
უმფროსი ექიმი ტფ. კადეტთა კორპუსისა.
ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე საღამოს 5—7 საათ. ოლღას ქუჩა, № 3, სახლი მელიქ-აზარიანცისა.

ქ. გორში
## ექიმი ნ. მ. კლიმიაშვილი
იღებს შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს.
აკაკის ქუჩა, შეფის აფთიაქთან.

კბილის ექიმმა
## მამულაიშვილმა
(ხოდნევისამ)
განაახლა ავადმყოფების მიღება დილის 9—3 საათ. ყოველდღე, გარდა კვირა დღისა.
ოლღას ქუჩა, № 22.

გოლოვინის პრ. და სამხედრო ქუჩის კუთხეში, ფოსტა-ტელეგრაფის პირდაპირ გაიხსნა
## ახალი აფთიაქი
პროვიზორის ახვლედიანისა

ექიმი
## მ. დ. წინამძღვრიშვილი
ყ. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა სამედიცინო ინსტიტუტის კლინიკებისა გადმოვიდა თბილისში და იღებს შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს: გულისა, ფილტვებისა და სისხლის სნეულელებიანს სპეციალურად. საღამოს 5—7 საათამდე, მიხეილის ქ. № 36, მეორე სართული.

ექიმი
## ბ. მ. მუხაძე
იღებს სადოქტარო ავადმყოფთ საღამოს 5—6 საათ. მისამართი: ტატიანის ქუჩა, მიხეილის ქუჩის ახლო, სახლი 6. ზემო სართული. ტელეფონი № 3—92.


## სოფლის მასწავლებლის ტიპის შემუშავება

ჩვენი ბედის გამომჭედი ჩვენივე საკუთარი ძალა და ენერგიაა. ჩვენი ეროვნული ცხოვრების გამდიდრება, ჩვენი კულტურული წინსვლა ყოველი ქართველი კაცის პირად შემოქმედებასა და ხასიათის სიმტკიცეზედ ჰკიდია. ერის ძალაში უნდა ვეძიებდეთ მის ალმადგენელ ფაქტორს. ყოველი გარეშე პირობა, ყოველი მოულოდნელი შემთხვევა, რომელიც არ არის გადაკავშირებული მიზეზ-შედეგურად ერის შინაგან ძალასთან და არ შეადგენს ცხოვრებისა და სიცოცხლის ბუნებრივ ფუნქციას,—ყოველი ასეთი მოვლენა და შემთხვევა თავის თავად, თვისივე ბუნების ძალით ვერ იქნება თვითშემოქმედი ეროვნული ღირებულება. ასეთი გარეშე მოვლენა და ასეთი შემთხვევა, სულ ბევრი, თუ შექმნის ხელსაყრელ პირობასა და გარემოებას ერის შემოქმედებითი ძალის ნაყოფიერ ამუშავებისათვის. ამ მოსაზრებით ყოველ დიდს ისტორიულ ეპოქაში, ისე როგორც ჩვეულებრივ დროსაც, შეუწყვეტლივ უნდა მუშაობდეს ერის შინაგანი ძალების მომგვარებელი პრინციპი, უნდა შეუჩერებლივ სწარმოებდეს დ ეწყობოდეს ქვეყნის შემოქმედი ძლიერებისგონივრული ექსპლოატაცია. ყოველი პრაქტიკული ნაბიჯი დ საქმიანობა, ყოველი წვრილი რეფორმა ისეთივე დიდი ყურადღების საგანი უნდა იყოს, რანაირ ყურადღებასაც მოითხოვს ქვეყნის ძირითად გარდაქმნის რეფორმაც; და ეს იმიტომ რომ საქვეყნო ძირითადი ცვლილება, ფართე რეფორმის პრინციპი იმდენად არის ცხოველმყოფელი და ნამდვილი ნაყოფის გამომღები, რამდენადაც იგი პრაქტიკულად გატარებული და განხორციელებული იქნება ერის ცხოვრების წვრიმალებში, საზოგადოების ცხოვრების მომწყობ პატარა ორგანიზაციებში. უამისოდ მკვდარია თვით უუმშვენიერესზედ უმშვენიერესი რეფორმა, თუ პრინციპი. არის ერთგვარი სავალდებულო მუშაობა, რომელიც უნდა სწარმოებდეს ყოველ ჟამს და ნიადაგს ამზადებდეს ყოველ შემთხვევისათვის.

ნამდვილი **საქმე** და შემოქმედება სწორედ აქ არის. შინაგანი შემაგრება სწორედ ასეთ მუშაობის წყალობით მოხდება.

ზოგი გასაკეთებელი საქმის ბუნება და ხასიათი ცნობილია თავისთავად; მისი რაციონალი სახე დამუშავებულია; აბსოლიუტურ მონარქიაში თუ უუდემოკრატეს რესპუბლიკაში თანაბარი ღირებულებისაა და ერთსა და იმავე ჰქმნილებას წარმოადგენს. ერთ ასეთ საქმედ მისაჩნევია ხალხის მომავალი თაობის რაციონალი აღზრდა.

ცისა და ქვეყნის სამართალი მოითხოვს რომ ერის აღზრდა ეროვნული იყოს, ე. ი. რომ აღზრდა სწარმოებდეს ერის საკუთარ სამშობლო ენაზედ. ჩვენ ამ უფლებას მოკლებული ვართ. საქართველოს მიწა-წყალზე და ქართველთა შორის მომქმედ სკოლებში რომ ქართული ენა პატივისცემაში არ არის, ამაზედ ბევრი ლაპარაკი არ გვჭირდება. აქ ჯერჯერობით კერძო ინიციატივითა და საკუთარის ძალ-ღონით ბევრს ვერაფერს გავაწყობთ. ამ სიმახინჯის გამოსწორება თავის დროს უცდის. მაგრამ სადაც შეგვიძლიან მივეშველოთ და რამდენიმედ მაინც გავანელოთ ერის გადამგვარებელი სისტემის შედეგი, იქ უთუოდ უნდა მივიტანოთ მტკიცე გადაწყვეტილება და მთელის ძალ-ღონით ვეცადნეთ ჩვენი გავიყვანოთ.

ყველამ ვიცით, რომ სკოლის სული და გულია მასწავლებელი, რომ ერის ამომავალი ნორჩი ძალა მის ხელში იფურჩქნება, რომ ქვეყნის ამომავალი ძლიერება, მთელი მისი ბედი სწორედ მასწავლებელს უჭირავს ხელში. რაც უფრო ფართე წრის მოზარდ თაობას წვრთნის მასწავლებელი, მით უფრო ხალხოსნური და ეროვნულია მისი ღვაწლი, მისი სიტყვა და საქმე. ამ მხრივ სოფლის მასწავლებელი სხვა მასწავლებელზედ მნიშვნელოვანია; იგი ყველაზედ ძვირფასია. რა გრძნობას, რა მამულის სიყვარულს, რა მოვალეობას სამშობლოს წინაშე, რა უმწიკვლო მორალსა და ზნეობას გადასცემს და ჩანერგავს იგი მის ხელში მყოფ ნორჩ საქართველოს ბუნებაში, იმავე გრძნობის, იმავე ზნეობრივი სიმაღლის და ეროვნული შემეცნების საქართველო გვეყოლება, როდესაც მისი აღზრდილი ნორჩი თაობა, უკვე დავაჟკაცებული, დაეპატრონება ქვეყანას და შეუდგება მის მოვლა-პატრონობას. სოფლის მასწავლებელი ბურჯია, იგი საძირკველია, იგი მომავალია ქვეყნისა. და ესეთის მაღალი მისიით და დანიშნულებით აღჭურვილი პიროვნება საქართველოში უყურადღებოდ არის დატოვებული. არავის მიუძღვნია მისთვის ის განსაკუთრებული გულისყური, რომლის ღირსიც იყო. და აკი ამიტომაც, ჩვენდა ღრმა სამწუხაროდ, იმ თავიდან ამ თავამდე ქართველი სოფლის მასწავლებელი მოუმზადებლობისა და შეუგნებლობის გამო ვერ იყო კეთილი თესლის მთესველი; იგი ძალა-უნებურად ქვეყნის გადამგვარებელი აგენტი გამოდგა. შეუძლებელია მერმისსაც გაგრძელდეს ასეთი ყოვლად შეუწყნარებელი ვითარება.

მიმდინარე მრავალ კულტურულ საჭიროებათა შორის უპირველეს საჭიროებად უნდა აღიარებულ იქმნას სოფლის მასწავლებლის ისეთი ტიპის შექმნა, რომელსაც უშიშრად მიანდობდეს ქვეყნის ბედს დღევანდელი ქართველის გამოღვიძებული ეროვნული შეგნება უმაღლეს პირველ-დაწყებით სკოლების გამრავლებასთან ერთად, რაზედაც ჩვენში მთავრობა ზრუნავს დღეს, საჭიროა შევქმნათ სათანადოთ მომზადებულ სოფლის მასწავლებელთა კონტინგენტი, რომ ჩვენი **შეძლების ფარგალში** თავიდან ავიცდინოთ მთავრობის სკოლის გადამგვარებელი შედეგები.

## ბალკანეთის ამბების გამო

დიდი ხანია რაც ევროპის სახელმწიფონი ორ სამტრო ბანაკად გაიყვენ. თითეული ბანაკი თავის შეძლების მაქსიმუმს ხარჯავდა, რომ განკითხვის დღისათვის საუკეთესოდ მომზადებული ყოფილიყო და შეიარაღებულ კონფლიქტიდან გამარჯვებული გამოსულიყო. მიზეზი ასეთი დარაზმვისა, მიზეზი უცილებელი შეტაკებისა და სისხლის ღვრისა სხვა და სხვა გვარი იყო. მოსალოდნელი ევროპის ომის საბაბი ან ევროპის გარეშე, სადმე დასაპყრობ საკოლონიო ტერიტორიაზედ უნდა აღმოცენებულიყო, ან კიდევა ბალკანეთის მიწა-წყალზე, რომელიც ყოველთვის მიჩნეული იყო მტრობისა და შუღლის სათავედ, რადგანაც აქ სამი შეურიგებელი დასაბამი, ისლამიზმი, სლავიზმი და გერმანიზმი, თავ-თავის გავლენას და მახვილს ერთმანერთს უპირისპირებდა.

უკანასკნელ ათი წლის განმავლობაში საფრანგეთსა და გერმანეთს შორის რამდენიმეჯერ მოხდა დიდი უსიამოვნება, რომელიც ცოტას გასწყდა, შეიარაღებულ კონფლიქტად არ გათავდა. საბაბად ყოველთვის აფრიკის კოლონია იყო, მაროკო, რომლის დაპყრობა საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის ერთი მთავარი მუხლი იყო. ჯერ კიდევ ცოცხალია მეხსიერებაში კაზაბლანკა და აგადირი. მაგრამ საქმე მაინც მორიგებით და მშვიდობიანად დაბოლოვდა. სამ-ოთხ წლის წინად ბალკანეთში იფეთქა ომმა. როგორც იქმნა ევროპის დიდი სახელმწიფონი აქაც ასცდნენ სისხლის ღვრას. რადგანაც კონფლიქტის დასაბამი ადგილი ასეთი სისწორით ჰქონდა წარმოდგენილი ყოველ დიდ სახელმწიფოს, მოსალოდნელი იყო რომ თითოეული ძალანი ცალ-ცალკედ ანუ შეკავშირებული ბანაკები თავ-თავისთვის საერთოდ იმ, თავითვე თადარიგს დაიჭერდნენ და ამ საკონფლიქტო ადგილის მოსამზღვრე ქვეყნებში მოკავშირეებსა და მომხრეებს გაიჩენდნენ. ამ თვალით რომ გავზომოთ დღეს პირისპირ წარმდგარ მებრძოლ სახელმწიფოთა მოქმედება, დავინახავთ რომ ინგლის-საფრანგეთს-რუსეთს ნიადაგი ჯეროვანად ვერ შეუმზადებიათ ბალკანეთში და ვერც თუ გამოურკვევიათ ორიენტაცია და მიდრეკილება ბალკანეთის ერებისა, მაშინ როდესაც გერმანეთ-ავსტრეთი, რომლებიც უფრო დაშორებულნი იყვნენ ბალკანეთის ხალხებზე როგორც ბუნებრივის ნათესაობით, ისე ინტერესებით, ამ მხრივ ბევრად უფრო ალღოიანი და შემომქმედი აღმოჩნდა.

თუ რამდენად გაუფრთხილებელი იყო შეთანხმების სახელმწიფოების დიპლომატია და საქმის ნამდვილ ვითარება დაშორებული, იქიდანაც სჩანს, რომ საფრანგეთმა ომის დაწყებამდე სულ რამოდენიმე დღის წინად ხუთასი მილიონი ფრანკი სესხად გასცა ოსმალეთს. საერთოდ ბალკანეთის ამბები მოულოდნელ სიურპრიზად თავს დაატყდა შეთანხმების სახელმწიფოებს და ბალკანეთის ფრონტზე ჯარების გაგზავნა აბეზარ და ზედმეტ მსხვერპლად ეჩვენება ზოგიერთ მათგანს.

საფრანგეთის გამოჩენილი და ფრიად მახვილი დიპლომატი გაბრიელ ჰანოტო ეხება დარდანელთან პირველად სამხედრო ოპერაციის გაჩაღებას და ამბობს:

„ჩვენი მოკავშირენი დიდს განსაცდელში ჩავარდნენ ოსმალეთის გამოსვლით ბრძოლის ველზედ. დარდანელის დაკეტვა. დიდ საფრთხეს განუმზადებდა ინგლისს ეგვიპტესა და ინდოეთში. მიუხედავად იმისა რომ აქ საფრანგეთს არავითარი პირდაპირი ინტერესი არა ჰქონდა, იგი მაინც გაეშურა დარდანელში... აღმოსავლეთის საკითხი, ბალკანეთის საკითხი დადებულ ხელშეკრულობის საგნად და საკითხად არასდროს ყოფილა ჩვენთვისაო.

ცნობილი დიპლომატი მწუხარებით გამოსთქვამს, რომ საფრანგეთმა თავის საკუთარ ტერიტორიის დასაცავ ჯარს ძალა გამოაკლო და აუარებელი სისხლი და დოვლათი დარდანელში ჩაყარა და ამავე დროს კარგად არც კი იცოდა, რომელი მოკავშირე როგორ და რამდენის ძალით მიეშველებოდა მას ამ ახალ ფრონტზეო.

თავისი ქვეყნისა და მოკავშირე ქვეყნების საგარეო პოლიტიკაში ღრმად ჩახედული დიპლომატი გადაჭრით ლაპარაკობს „ფიგაროს“ 21 ოქტომბრის ნომერში: ჩვენი სიძნელე ბალკანეთში იქიდან გამომდინარეობს, რომ მოკავშირე სახელმწიფოებს გაგებული და გათვალისწინებული არ ჰქონდათ **ნამდვილი მნიშვნელობა**, იმ დივერსიისა რომელსაც გერმანეთი განუმზადებდა მათ ოსმალეთის გამოყვანით ბრძოლის ველზე და ახალის ბალკანეთის ფრონტის შექმნითაო.

ამავე დიპლომატის დამოწმებით, ბუქარესტსა და ათინაში პირველ ხანებში სიმპატია საფრანგეთისა და მის მოკავშირეებისაკენ ყოფილა მიმართული, მაგრამ სათანადო ფხა, გამჭრიახობა და ენერგია ვერ გამოუჩენია შეთანხმების დიპლომატიას.

ასეთმა ვითარებამ უკვე ყველასგან ცნობილი დამარცხება არგუნა შეთანხმების სახელმწიფოებს ბალკანეთში, სახელდობრ, მათ წინაამდეგ ბულგარეთის გამოსვლა. აღსრულებულმა ფაქტმა დამარცხებისამ აალელვა საზოგადოებრივი აზრი როგორც საფრანგეთში, აგრეთვე ინგლისში. აღელვებამ უფრო მკვეთრად თავი იჩინა საფრანგეთში, სადაც მთელი სამინისტრო გადადგა. გარეგნულად უფრო ნაკლებ გამოითქვა ეს მღელვარება ინგლისში, სადაც კაბინეთიდან თითო-ოროლა კაცი გავიდა.

ინგლისის პრესა და საზოგადოებრივი აზრი ორად არის გაყოფილი. იმდენი ჯარი და ძალა სად შეგვწევს, რომ ბალკანეთზე სათანადო შეიარაღებული ძალა გაიგზავნოსო.

არსებულ პირობებში, ბალკანეთის ფრონტი რჩება სერბების და მცირე რიცხვოვან საფრანგეთის დესანტის ანაბარა, რომელიც ამ სამიოდე კვირის წინ ფრანგებმა სალონიკში გადმოსხეს. ეს ძალა მეტად მცირეა და მტერს ვერ გაუმკლავდება. მდგომარეობა მეტად სერიოზულია. უნდა მოველოდეთ დიდ მსხვერპლის გაღებას ერთ-ერთ შეთანხმების სახელმწიფოთაგან, რათა ბალკანეთის ნეიტრალი სახელმწიფონი ომში ჩაითრიონ და მალამო რათა დასდონ იმ თავიდანვე წახდენილ საქმეს. ამასაც მალე ვნახავთ.

**მეგრი.**

## პრესა

„ზვირთი“ რომ გამოვიდა რიხიანად განაცხადა: ყველაზედ ახლო ჩვენ სოციალ-დემოკრატებს ვენათესავებითო.

ჩვენ მაშინვე გვარიშვილობის მაძიებელი უწოდეთ „უკანონოდ დაბადებულ“ გაზეთს.

ეხლა ვნახოთ, როგორ შეხვდნენ „ნათესავებს“ სოციალ-დემოკრატები. ცნობილი **ანი** სწერს:

„ისინი კვლავ შეიკაზმენ თოფითა და ჯინჯილითა და რიხიანად გამოინავარდეს. ყველა მათი ორგანო სავსეა ჩვენს წინააღმდეგ მომართული წერილებით, ჩვენი დედა-აზრების კრიტიკით და ჟარისყოფით. ცხადია ვცდებოდით, როცა ზავის და პრესის ევროპიულ კალაპოტში ჩაყენება გვჯეროდა. დაგვავიწყდა, რომ იქ პარტიები მკაცრად გამიჯნულნი არიან, ხოლო ჩვენში ყოველ დღე გედავებიან—თქვენი კი არა ჩვენი პარტიაა ნამდვილი სოციალისტური და დემოკრატიულიო. იქ ყველა თავ-თავის ოჯახშია გამაგრებული და იქიდან იბრძვიან. ჩვენში კი ოჯახში გიცვივიან, ეს შენი კი არა ჩვენი სახლიაო. ასეთ საერთო გაუმიჯნველობაში და ენათა შერევაში ზავს ნიადაგი არ აქვს და ამას ალბად კარგად მიხვდენ ფედერალისტები. მათ ხელათ დაარსეს ორი ახალი გაზეთი სოციალისტური პრეტენზიით და დემოკრატიული მოკაზმულობით. ერთი მათგანი „მდაბიო“—ხალხისათვის არის დანიშნული და რასაც „წმინდა“ საზოგადოებას არ აკარებენ—იქ ათავსებენ. ნათქვამია რაც ჭკვიანს გულში აქვს, ბრიყვს ენაზე აკერიაო. რაც „სახალხოელთ“ გულში აქვთ, „ზვირთელები“ ხმა მაღლა ყვირიან.“

ამ რიგად სოციალ-დემოკრატებმა „ზვირთის“ ნათესაობა არ მიიღეს და პირიქით ბრიყვები უწოდეს.

ბ-ნი ანი შემდეგ ასე ახასიათებს „ზვირთელებს“:

მათი აზრით, თურმე ჩვენ მთავრობაც უკეთ გვეპყრობა, ვინემ „ეროვნული იდეალების“ პარტიას! ახლა ამას მიუმატეთ ტარტარენული ტრაბახობა—ამას ვიზამ, იმას ვიზამ და თქვენ თვალწინ დაგიდგებათ კლდიაშვილის უკვდავი გმირები, რომელთა ერთად ერთ საგზალს თავის ქება შეადგენს.

ან შეიძლება იფიქროთ, ფედერალისტები აქ რა შუაშია, ზვირთელები ალბად ვიღაც უპატრონო და უპასუხისმგებლო ხალხიაო. სრულიადაც არა. აი როგორ აღტაცებით მიესალმა მათ „მეგობარი“: „სალამი „ზვირთს“, ჩვენი სულის, ჩვენი გრძნობის მონათესავეს! სალამი „ზვირთს“, ჩვენი ზრახვების და იმედების მოზიარეს“. და ასე ბოლომდის (№ 11). ასეთივე ქებათაქებით ესალმება მას „სახალხო ფურცელი“.

ამ რიგად სოციალ-დემოკრატებმა „ზვირთელების“ ნათესაობა არ მიიღეს. საინტერესოა ვიცოდეთ, ეხლა ვისღა წაედავებიან ნათესაობას, ეს მართლაც და სოციალიზმის ტარტარენები?

* *

„სახალხო ფურცლის“ სწორ-უპოვარი სოციოლოგები განაგრძობენ თავიანთ კვლევა ძიებას.

ჯერ იყო და თ. ღლონტმა ციფირებით დაგვიმტკიცა:

— საქართველო რომ ეკონომიურად დაეცა, ეს სულ ვასკო დე გამმის ბრალიაო!

ეხლა არ. ჯ—შვილი გვიხსნის რა არის საზოგადოებრივი გაერთიანება.

მისის აზრით ყველაფერს უკეთეს მერმისისაკენ მივყევართ:—დანაწილებასაც, გაერთიანებასაც!

მარტივი აზროვნების ადამიანისთვის ეს გასაგები არ არის. მაგრამ „პოლიტიკურად აღზრდილი ადამიანი“ ამას მაშინვე შეატყობს.

და ასეთ „პოლიტიკურად აღზრდილი ადამიანია“ თვით ბ. არ. ჯ—შვილი.

ჩვენში ყველას უწერია სიცოცხლე.
ახალგაზდა ბურჟუაზიასაც და მეურნე გლეხობას, მუშათა კლასს და მის იდეოლოგიას.

საცოდავი მხოლოდ ერთი თავადაზნაურობაა!

და ბ. არ. ჯ—შვილიც პიფიასებ გაიძახის:

„ჩვენში ერთად ერთი სოციალური კატეგორიაა განწირული სასიკვდილოდ—თავად-აზნაურობა. ამიტომ, ვინც მას დაემყარება, იგი მიცვალებულის აპოლოგეტათ გამოვა“.

კარგი და კეთილი! ვსთქვათ თავადაზნაურობა დაიღუპება!

მაგრამ რა დაემართებათ იმ „პოლიტიკურათ განვითარებულ“ ფედერალისტებს, რომლებიც მუდამ თავადაზნაურობის პირველ რიგში სხედან?

ალბათ ისინი „ეროვნულ აზნაურობას“ შეჰქმნიან!

ხომ ჰყავთ ფედერალისტებს:
„ეროვნული მუშა“!
„ეროვნული გლეხი“!
ახლა „ეროვნული აზნაურიც“ ეყოლებათ.

საზოგადოებრივი დანაწილება და საზოგადოებრივი გაერთიანება ალბათ ეს არის.

# ომის ამბები

## ჟურნალ-გაზეთებიდან

**„ფორვესტის“ წინადადება.**

გერმანული გაზეთი „ფორვესტი“ წინადადებას აძლევს: ჩვენთვის სრულიად უსარგებლოა ველოდეთ იმ დროს, თუ როდის მოისურვებენ ზავზე დაგვიწყონ ვაჭრობა. ამ ლოდინში ორთავე მხარე ძალღონეს შევალევთ. მთავრობა მოვალეა ომის მიზნების მკაფიოდ გამოჰხატოს და სთქვას რაც ნებავს. ამასთანავე საჭიროა პრესას მეტი თავისუფლება მიეცეს ზავის პირობებზე გულახდილად იმსჯელოს.

**ყალბი ფულები.**

გერმანელთ სპარსეთში აუარებელი ყალბი სამ მანეთიანები გაუვრცელებიათ.

**გრაფი ტისა.**

გრაფ ტისას ამერიკელ კორესპონდენტისთვის უთქვია: ოთხთა კავშირმა პირველმა უნდა ამოიღოს ხმა ზავის შესახებო. სერბეთის ოკუპაცია ომის დასასრულს არა ნიშნავს. ეს კია, რომ ომიდან სერბეთი დასუსტებული და ფრიად შემოკლებული გამოვა. ინგლისის იმედი ვითომც ეკონომიურად დაგვასუსტებს და ზავზე ხელს მოგვაწერინებს ტყუილი იმედებია: ამ მხრივ საკმაოდ მომზადებულები ვართ.

**მეფე ფერდინანდის იმედები.**

მეფე ფერდინანდი და მისი მთავრობა არწმუნებს ხალხს, რუმინეთი ჩვენს მხარეზეაო. მათ მანიფესტიც კი გამოსცეს, სადაც აღნიშნულია რუმინეთმა რუსეთს ომი გამოუცხადაო. უკანასკნელი ცნობების მიხედვით ბულგარები კიდევ შესულან ნიშში.

**ბულგართა წინსვლის შეჩერება.**

ფრანგებს მაშველი ჯარები მოუვიდათ და ბულგარები შეაჩერეს. ამით მოკავშირეთა მდგომარეობა რაოდენიმე გაუმჯობესდა. მონასტირის დაცემის შიში ეხლა იმდენად აღარ არის ინგლისის ცხენოსანთა ჯარები უკვე მოვიდნენ.

**იერიშისთვის სამზადისი.**

იმის გარდა, რომ რიგა-დვინსკის ხაზზე გერმანელებმა უდიდესი ზარბაზნები მოზიდეს და მათ გამაგრებას უნდებიან, ახლა მეზღვაურებიც მოუყვანიათ. ფრიდრიხშტადტისა და იაკობშტადტის რაიონებში მეზღვაურთა რაზმების სწრაფი მოძრაობაა.

**ზაიმსის მოადგილე.**

ზაიმსის მოადგილედ საბერძნეთში სკუდილისი აირჩიეს. იგი ოსმალეთ-საბერძნეთის ომის დროს 1897 წ. გარეშე საქმეთა მინისტრად იყო. 1912 წ. იგი ლონდონის კონფერენციაზე რწმუნებულად გაგზავნილ იქმნა საბერძნეთის მიერ. ათინის პოლიტიკურ წრეებში ფრიად პოპულიარი ადამია-ნებია. თუ მას პალატა ნდობას არ გამოუცხადებს, მაშინ პალატას დაითხოვენ. ახალი არჩევნები მოხდება კვირას, პირველ ნოემბრისთვის.

**სერბების გამარჯვება.**

ბაბუნის უღელტეხილთან სერბთა ერთ ბატალიონს ბულგართა რაზმი დაუმარცხებია. ბულგართ 200 კაცამდე დაჰკარგვიათ.

**საზოგადო იერიში.**

ავსტრიის მთავარი შტაბი იუწყება, რომ მთელს მთაშავეთის ფრონტზე საზოგადო იერიშით მივდივართო.

**კევეშისა და ჰალვეცის ჯარები.**

კევეშის არმია უკვე გადასცილდა კაცაკ-კრაგუევაცის ხაზს, ხოლო ჰალვეცის ლაშქარი კრაგუევაცის აღმოსავლეთით და იაგოდინის ჩრდილოეთით იბრძვისო. რუშჩუკში და ვიდიანში ავსტრიელები განაგრძობენ სამხედრო იარაღის ზიდვას.

**გაერთიანდნენ.**

ბულგარეთში ეხლა აღარავითარი უთანხმოება აღარ ჰსუფევს. ყველა ეროვნულ დროშის ქვეშ შემოკრბნენ. ოპოზიციაში შეურიგდა რადოსლავოვს, ეს უფრო მას შემდეგ, რაც ინგლისმა ომი გამოუცხადა ბულგარეთს. ამიტომ ოპოზიცია საქვეყნოდ აცხადებს: ინგლისმა უკვე ჩვენდამი სიმპატია დაჰკარგა. დაგვრჩენია ერთი, რომ ყოველისფერში გერმანეთს მხარი დავუჭიროთო.

**ვენიზელოსს ემუქრებიან.**

ათინიდან იუწყებიან, რომ ვენიზელოსის სიცოცხლე საფრთხეშიაო. მეგობრები ურჩევდნენ ფრთხილად მოიქცეს.

**საბერძნეთი თავს მართლულობს.**

ერთს ბერძენ დიპლომატს უთქვამს: ჩვენში ომის მომხრე ცოტაა. მტრულად არ ვუყურებთ მოკავშირეთა ჯარებს: ჩვენ ნება დავრთეთ ჯარები გადმოესხათ სალონიკში. ჩვენ ყველა კუნძულები დავუთმეთ სამოქმედოთ. ჩვენი შტაბი აფრთხილებდა მოკავშირეებს, რომ დარდანელის ზღვით აღება ყოვლად შეუძლებელიაო. იქნებ ჩვენ ზურგთ უკან მოკავშირეებს გავყოლოდით, რომ საკმაო ძალები დაგვეხანა და რაოდენიმე მაინც გამარჯვებულიყვნენ.

**ბურცევის წერილი.**

„Numanité“-ში დაბეჭდილია ბურცევის წერილი, მოგვყავს ნაწყვეტი ამ ბარათისა: „დღე და ღამ ჩემი დარაჯნი მომჩერებოდნენ, რომ არსად გავიქცე, ან ისეთი რამ არ გავაკეთო, რაც აკრძალულია ჩემთვის. ვინ იცის, რამდენი თვალთმაქცობა არა სჭირდება, რომ ის წერილი მომეწერა... მიუხედავად ამისა, უსაზღვრო ბედნიერად ვგრძნობ თავს, რომ რუსეთში დავ- [illegible]

## უკანასკნელი ფოსტა

**ნიში და კრალევო.**

[illegible]

**ოსმალეთის ფლოტი.**

შავზღვაში ოსმალეთის ფლოტმა მოქმედება დაიწყო.

**კრუშევაცისკენ.**

გერმანები იუწყებიან, რომ კრალევო დაეცა და კრუშევაცისკენ მივდივართო.

**კიტჩენერი.**

ხმა გავრცელდა, ლორდ კიჩენერს ბალკანეთში მოკავშირეთა ჯარების უფროსად ნიშნავენო.

**მილონოვაცთან.**

ბუქარესტიდან იტყობინებიან, მილონოვაცთან სერბებმა გაიმარჯვესო.

## ბრძოლის ველზე

გასულ დღის განმავლობაში ყურადღების ღირსი არსად არაფერი მომხდარა. შტაბის დეპეშა ბრძოლის განსაკუთრებულ სიმწვავეს არსად აღნიშნავს ამ ათას ვერსის ბრძოლის პირის გასწვრივ. აას მარცხენა ნაპირას ბრძოლა 27 ოქტომბერს გაგრძელებულა კემერნის აღმოსავლეთ რაიონში. ამ რაიონში რუსებს ფეხი მოუკიდნიათ, ხელში ჩაუგდიათ დიდძალი პატრონა და სხვა სამხედრო მასალა. ოლაის მიდამოში, რომელიც მდებარეობს მიტავიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით, ასე ხუთმეტ-ჩვიდმეტ ვერსის სიშორეზე, გერმანელები ცდილან რუსებისთვის წაერთმიათ წინადღით დაჭერილი პოზიციები, მაგრამ უშედეგოთ. იაკობშტადტის რაიონში რუსებს ცხარე ბრძოლის შემდეგ დაუპყრიათ პატარა სოფელი ეპუკნი, რომელიც მდებარეობს მდ. პიკსტერნის შესართავთან. ეს ცნობა საყურადღებოა, რადგან იგი ცხად ჰყოფს კიდევ ერთ ნაპირა ადგილს გერმანეთის ჯარის დგომისას. მდ. პიკსტერნს სათავე აქვს ამავე სახელის ტბაში, მიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით და ერთვის მდ. დვინას.

[illegible]

## შტაბის დეპეშები

**პეტროგრადი, 27 ოქტ. ოფიციალი. დასავლეთი ფრონტი. მდ. აას მარცხენა ნაპირზე რუსებმა დაიჭირეს კემერნის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი. აქ მათ მრავალი პატრონები წამოჰკრიბეს, გერმანებს სწრაფი დახევის დროს უპატრონოდ დაეყარათ. მათი არტილერია ძლიერ ცეცხლს უშენს ოლაის რაიონის პოზიციებს, მიტავის ჩრდილო-აღმოსავლეთით იაკობ შტადტის რაიონში რუსებმა დაიჭირეს მდ. პიქსტერნის შესართავი და სოფ. ეპუკნი. დვინსკის რაიონში სვენტენის ტბის დასავლეთ ნაპირზე რუსებმა აიღეს სოფ. კომაროვა, დაბა ვოლკის ჩრდილოეთ რაიონში, სადაც გერმანელებმა სამჯერ შეუტიეს იერიშით. ბერესტნში რუსთა არტილერიამ გადასწვა გერმანთა თოფხანა. დ. ზალეშჩიკის აღმოსავლეთით რუსებმა გამაგრებული ქალა აიღეს. მტერმა ოთხჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდა.**

**ბალტიის ზღვა. ინგლისელთა წყალქვეშამ დაჰღუპა გერმანთა კრეისერი „უნდინე“.**

**კავკასიის ფრონტი. მდგომარეობა უცვლელია.**

## დეპეშა

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

**პეტროგრადი**, 26 ოქტომ. (შეგვიანებით). მიწათ-მოქმედებისა და მიწადმომწყობის მთავარი მართველობა გადაკეთდა მიწად-მოქმედების სამინისტროდ. კრივოშეინის გადადგომის განცხადება შეიწყნარეს, სადაც ჯერ იყო.

---

უმიზეზოდ არ მოხდა ა. ვ. კრივოშეინის გასვლა სამინისტროდან. სჩანს გორემიკინის კაბინეთში ყველაფერი რიგზე ვერ არის. სრული თანხმობა და ერთსულოვნება, თანამგრძნობის აუცილებელი პირობა, სჩანს, არ არსებობს. ბ-ნი კრივოშეინი მეთაურობდა იმ მინისტრებს, რომლებიც მოითხოვდნენ კაბინეტის გარდაქმნას საზოგადო მოღვაწეების მოშველებით. დღეს ასეთი კაცი სტოვებს მიწად მოქმედებისა და მიწად-მომწყობის მთავარ გამგებელის თანამდებობას და სამინისტროდან გადის. ა. ვ. კრივოშეინი ჯერ ახალგაზრდა სახელმწიფო მოღვაწეა, სულ 54 წლისა. მას დიდი გავლენა ჰქონდა კოლეგა-მინისტრზე, რითაც სარგებლობდა კიდეც თავის უწყების მოქმედების გასაფართოებლად და მოსაგვარებლად. ა. ვ. კრივოშეინს დაურჩინეს სახელმწიფო საბჭოს წევრის სახელწოდება. ბ-ნი კრივოშეინი ალბად სახელმწიფო საბჭოს პროგრესიულ ბლოკში ჩაეწერება.

## ახალი ამბავი

✦ **თათბირი საკვების შესახებ.** 27 ოქტომბერს, სამხედრო მიმოსვლათა უფროსის გენ.-მაიორ. კარპოვის თავმჯდომარეობით, შესდგა თათბირი, რომელსაც დაესწრნენ თბილისის გუბერნატორი ი. მ. სტრახოვსკი, ამიერკავკასიის რკინის გზის უფროსი ბ-ნი ვასილიევსკი, მეფის ნაცვლის კანცელარიის წარმომადგენელი, ქალაქის მოურავი ა. ი ხატისოვი, ქალაქის გამგეობის წევრი ბ-ნი ჯაბარი და სხ. განსახილველ საგანს შეადგენდა გამორკვევა მიზეზებისა, რომელთა გამო პირველ საჭიროებათა სურსათი იგვიანებს რკინის გზაზე და ღონისძიებათა გამონახვა, რომ ასეთი საქონელი დაუბრკოლებლად მისდიოდეს პატრონს თავის დროზე. კრებამ საჭიროდ სცნო დაწვრილებით გამოარკვიოს, რამდენი და რა და რა საქონელია რკინის გზებზე გაჩერებული და აგრეთვე რაოდენობა საქონლისა, რომელიც საჭიროა ამიერ კავკასიის ქალაქებისა და სოფლების გამოსაკვებად. აგრეთვე, კრების დადგენილებით, კვლავაც დაცულ უნდა იყვეს საქონლის გამოგზავნის წესი, ე. ი. უნდა გამოიგზავნოს, ეგრედ წოდებულ, „ნარიადით“ და რკინის გზის კვიტანციაში აღნიშნული უნდა იყვეს სახელი და გვარი საქონლის მიმღებისა. არჩეულ იქმნა საგანგებო კომისია, რომელსაც დავალებული აქვს 2 დღის განმავლობაში შეიმუშაოს თათბირზე გამოთქმული სურვილები.

✦ **ქალაქთა კავშირის** კავკასიის განყოფილებას გამოუგზავნეს მომავალი 1916 წლის ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიში ფინანსთა სამინისტრომ 1 მილიონი მანეთი, ხოლო კავშირის მთავარ კომიტეტმა ნახევარი მილიონი.

✦ **საკვების უქონლობა სოფლად.** სოფ. კახიდან (ზაქათალის ოლქი) სთხოვენ ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ პურის გამოწერაში დაგვეხმარეთ, რადგან აქ არავითარი ორგანიზაცია არ არსებობს და საჭიროება კი დიდი არის.

✦ **მეფურნეების მამასახლისმა** ბ-მა კაფლანოვმა მეფურნეთა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე ფურნის პურზე ნიხრის გადიდების შესახებ. ამჟამად ყველანი მდიდრდებიანო,— ამბობს თავის განცხადებაში ბ-ნი კაფლანიანცი,— ხოლო მეფურნეები დიდს ზარალში არიანო, თუ ნიხრი არ გადიდდა, იძულებული გავხდებით პურის ცხობა შევსწყვიტოთო.

✦ **ლექცია.** ბ-ნი სამსონ ფირცხალავა თავისს ლექციას—„სამაჰმადიანო საქართველო ანუ ძველი მესხეთი“— კვირას, 1 ნოემბერს, დილით წაიკითხავს ნადალადევის თეატრში, ხოლო საღამოს—ხარფუხის კლუბში.

✦ **სამსონ ფირცხალავას** ლექციაზე შემოვიდა სულ 74 მან. 10 კაპ., დაიხარჯა 37 მან. 50 კაპ., დარჩა საქველმოქმედო საზოგადოებას წმინდა შემოსავალი 36 მან. 60 კაპ.

✦ **ალექსანდრე ყიფშიძემ** გადასცა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების გამგეობას სალიტერატურო ფონდის გასაძლიერებლად 100 მანეთად ღირებული ფასიანი ქაღალდი, უცნობ პირისაგან შემოწირული.

✦ განათლების საზოგადოების გამგეობა დიდ მადლობას უცხადებს ექიმ ივანე თიკანაძეს, რომელმაც შემოსწირა 100 მან. ქალთა სამოსწავლო სემინარიის სასარგებლოთ. ადრინდელი შემოწირულობით (გარდა თავად-აზნაურობის შემოწირული სამასი თუმნისა) შესდგა 260 მ.

✦ განათლების საზოგადოების გამგეობა მართავს 23 ნოემბერს სახაზინო თეატრში ოპერას, რომლის შემოსავალი მოხმარდება საზოგადოების სასწავლებელს.

✦ 27 ოქტომბერს ხოლერიანი და ხოლერის ნიშნებით არავინ მოუყვანიათ ლაზარეთში. გუშინ, 28 ოქტომბერს, ლაზარეთში იმყოფებოდა ხოლერიანი 40 კაცი.

✦ **გადამდები სენი.** 28 ოქტომბერს ქალაქის საავადმყოფოში იწვნენ: ქუნთრუშიანი 100, სახადიანი 42, საოფლიანი 35, ხუნაგიანი 21, მუცელაიანი 4 და ყვავილიანი 3 კაცი.

✦ **სურსათი.** 27 ოქტომბერს თბილისში შემოვიდა რკინის გზით: ფქვილი 2 ვაგ., ქვავი 1 ვაგ., სიმინდი 3 ვაგ., შაქარი 1 ვაგ., ფხვნილი შაქარი 1 ვაგ., მარილი 3 ვაგ., კარტოფილი 2 ვაგ., ხორბალი 9 ვაგ., ხილი 1 ვაგ., ღვინო 2 ვაგ.

## ქუთაისის ქრონიკა

„ქართული დრამის“ ამხანაგობამ ნებართვა მიიღო მისი უგანათლებულესობის თავ. გ. შერვაშიძისაგან, წარმოადგინოს მისი ისტორიული პიესა „გიორგი III-ე“. ამხანაგობა უკვე შეუდგა პიესის მომზადებას. პიესის ტეხ-

# სოფლის რეფორმა

I

დღევანდელმა მსოფლიო შეჯახებამ ყველასათვის ნათელ ჰყო, რომ ხალხის ძლიერება მის თაოსნობისა, თვითმოქმედებისა და საქმიანობის უნარზეა დამყარებული და რომ ამ უნარის აკვანი და აღმზდელი სახელმწიფოს სათვითმართველო ორგანოებია, ხოლო სხვა და სხვა სივრცისა და კომპეტენციის ორგანოებში უდიდესი როლი სათვითმართველო ორგანოების სწორედ უმცირეს ერთეულს უკავია.

მართლაც და ავიღოთ სახელმწიფოს ისეთი ცენტრალი და მთავარი სათვითმართველო ორგანოები როგორიც არის: პარლამენტი, რეიხსტაგი, სახელმწიფო სათათბირო, სეიმი და სხვა. ამ ორგანოებში უნდა მოხვდეს რამდენიმე ასი „რჩეული ამა ქვეყნისა“; მხოლოდ და მხოლოდ ამათ ეძლევათ საშუალება თვითმოქმედებისა, თავისი სამოქმედო უნარის გაწვრთნისა და განვითარებისა, გარნა ხალხი, უმრავლესობა-კი სრულებით მოკლებული დარჩებოდა ცხოვრების ამ სკოლას, თუ რომ მასაც არ ჰქონოდეს ამ გვარივე სავარჯიშო და სამოქმედო ასპარეზი სხვა და სხვა სათემო, საპროვინციო და საქალაქო თვითმართველობების სახით.

სწორედ ეს მცირე სათვითმართველო ერთეულებია ფართე მასის აღმზრდელი და გამწრთვნელი; სწორედ იმ სახელმწიფოების ხალხია უფრო თვითმოქმედი, თაოსანი და გამჭრიახი დღევანდელ მსოფლიო ჭიდილში, რომელსაც მრავლად და ფართედ მოეპოვება თვითმართველობის ეს მცირე ერთეულები და რომლის ეს ორგანოები თვითმართველობის უფრო საღ პრინციპზე არის დაწყობილი და აშენებული.

ყველა ამების შემდეგ არ შევაძლიან დიდი ყურადღება არ მივაქციოთ ჩვენი ქვეყნის არსებულ სათვითმართველო ორგანოებს, რადგან, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, სწორედ ადგილობრივი სათვითმართველო მცირე ერთეულები გახლავს ცხოვრების ის სკოლა, სადაც ხალხი იწრთვნება და ვითარდება პოლიტიკურად.

**ამ მხრივ საქალაქო თვითმართველობას უფრო აქვს მოგებული გული ჩვენი ინტელიგენციისა.** სამაგიეროდ ჩვენი სოფლის თვიმართველობა კი ნაკლებად იპყრობს მის ყურადღებას, ხოლო დრო და საჭიროება კი, პირიქით, სულ სხვას მოითხოვს ჩვენგან. არ შეიძლება გულგრილად ვუმზერდეთ ჩვენი ერის უმრავლესობის დაქსაქსვასა და უპატრონობას. ჩვენი წერილის მიზანია განხილვა აწინდელი სასოფლო თვითმართველობის აგებულობისა და მისი რეფორმა თანახმად ამა 1915 წლის 26 თიბათვის კანონისა.

ამ შესანიშნავ კანონით სოფლის საზოგადოების კომპეტენცია ფართოვდება, ეხსნება მას საპოლიციო ფუნქციები და, რაც ყველაზე უფრო აღსანიშნავია, ენიჭება მას ფორმა წარმომადგენლობითი თვითმართველობისა. ამ კანონის ძალაში შესვლითა და განხორციელებით დასრულდება ქაოტიური მდგომარეობა სოფლისა, უპატრონოს პატრონი და გულშემატკივარი ზედამხედველი გაუჩნდება და მთლად ჩვენი ქვეყანა მოეფინება პატარ-პატარა სათვითმართველო ორგანოებით.

II

პირველად, წარსულ საუკუნის სამოციან წლებში, შემოიღეს აწინდელი სასოფლო თვითმართველობა. განზრახული ჰქონდათ რომ სოფლის საზოგადოება ანუ სამამასახლისო ერთის სოფლის მცხოვრებთაგან შემდგარიყო, მაგრამ რაკი ასე მცირე ხალხისათვის ძნელი იყო სასოფლო კანცელარიის აშენება და შენახვა ერთის მხრივ და გზირ-ნაცვალ-მამასახლის-მწერლის დაჯილდოვება მეორის მხრივ, ამისათვის მთავრობამ რამდენიმე სოფელი შეაერთა ერთ სოფლის საზოგადოებად; შემდეგ ხალხმაც თავის მხრით იმავ ხარჯის შესამსუბუქებლად ბევრჯელ ორი და სამი სამამასახლისო ერთ სოფლის საზოგადოებად შეაერთა და ამ რიგად ხშირად შეხვდებით ისეთ საზოგადოებას რომელიც 32 სოფელზე მეტს შეიცავს; მცხოვრებთა რიცხვი 1—2 ათას კომლს აღწევს და სივრცით 15×17 ვერსს უდრის ანუ 254 კვადრატულ ვერსს.

ცხადია ასეთი დიდი ტერიტორია და მანძილები, თუ მხედველობაში მივიღებთ ჩვენი ქვეყნის მთაგორიანობასა, დასერილობასა და უგზოობას და აგრეთვე ხალხის ასეთ სიმრავლეს,— ხელსაყრელი არ არის მცირე სათვითმართველო ერთეულისათვის.

კანონით*) სოფლის საზოგადოებრივ მართველობას შეადგენს: 1) სასოფლო ყრილობა, 2) სოფლის მამასახლისი და 3) სასოფლო სამსჯავრო ანუ სასამართლო.

მოკლედ შევეხოთ თვითმართველობის ამ სამს ელემენტს. სოფლის ყრილობა თანახმად კანონისა შესდგება იმ კომლის წევრებისაგან, რომელიც 1886 წ. კამერალიაში იყვნენ ჩაწერილნი, მაგრამ, რადგანაც ამისთანები სულ ცოტა დარჩნენ და ამასთანავე ამების გარჩევა ძნელ საქმედ გადიქცა, ფაქტიურად სოფლის ყრილობას კომლზე კაცი ესწრობა.

ამგვარ ყრილობას დაკისრებული აქვს შემდეგი უფლება-ვალდებულებანი: 1) სოფლის მოხელეთა არჩევა და შენახვა. 2) მავნე წევრთა გაძევება ან დროებით მოშორება. 3) ობლების პატრონობა. 4) ოჯახების გაყრა. 5) საერთო სასოფლო მამულების მართვა. 6) თათბირი და თხოვნები სადაც ჯერ არს სოფლის სხვა და სხვა საჭიროებაზე. 7) სხვა და სხვა საჩივრები. 8) ურთიერთ შორის ხარჯის გაწერა საზოგადოებრივ საჭიროებათათვის. 9) სახელმწიფო გადასახადისა და ბეგრის მოხდა საზოგადოების სხვა და სხვა სოფლისა და წევრთა შორის. 10) სოფლის მოხელეთა მოქმედების განხილვა. 11) გაჭირვებულთ სესხი სოფლის ბეღლიდან. სანიტარული ზომები ხალხისა და საქონლის მოარულ ავადმყოფობის წინააღმდეგ; გზებისა, მიჯნებისა, სამნებისა, არხებისა და რუების შეკეთება, სოფლის დარაჯობა, ღლახაკთა და დავრდომილთა პატრონობა; ცეცხლთან, წყალდიდობასთან, მავნე მხეცებთან და სხვა უბედურებასთან ბრძოლა.

როგორცა ხედავთ სოფლის ყრილობას მეტად რთული და ბევრი უფლება და უფრო კი მოვალეობა ჰქონია, ყველა ეს რომ რიგიანად შესრულდეს, დღეს ჩვენი სოფელი ასე დაქსაქსული, გულ-გატეხილი, და ასე მიგდებული უპატრონო აღარ იქნებოდა, მარა მაგარიც ის არის რომ აწინდელ სოფლის ყრილობის ბუნება იმ გვარია რომ მას ყველა ამაების ვერც განსჯა და ვერც შესრულება ძალუძს.

III.

ლოღიკურად, მამასახლისის მოვალეობას უნდა შეადგენდეს აღსრულება ყველა იმისა, რაიც სასოფლო ყრილობის კომპეტენციას წარმოადგენს; ამის გარდა მთავრობისაგან მას აქვს დაკისრებული პოლიციური ფუნქციები. და რადგან სასოფლო ყრილობა უძლურია აასრულებინოს მამასახლისს მისი საზოგადოებრივი მოვალეობანი, ამიტომ დღეს იგი მხოლოდ და მხოლოდ საპოლიციო ფუნქციების აღმასრულებელია. ეს ანორმალური მოვლენა მით უფრო სამწუხაროა და გამხრწნელი, რომ ეს პატიოსანი მოხელენი ჯამაგირსა და ჯილდოს საზოგადოებისაგან იღებენ, ხოლო სამსახურით კი მხოლოდ პოლიციას ემსახურებიან და ყოველ მათგანს დიდათაც გაუკვირდება რომ „წესიერების დაცვის გარდა მას წმინდა საზოგადოებრივი ფუნქციებიც რომ აწევს. ამრჩევთა უძლურებამა და კონტროლის გაწევის შეუძლებლობამ ხომ მამასახლისი და ყველა სოფლის მოხელე იმ ზნეობრივ გახრწნამდე მიიყვანა, რომ ქრთამი და მიდგომა, სუსტის დაჩაგვრა და მძლავრთან მოფერება, ამ მოხელეთა აუცილებელ ხასიათად და თვისებად გადაიქცა. თმები ყალყზე აგიდგება რომ კარგად გაეცნო კაცი, თუ სადამდე მიდის ამ ვაჟბატონების დაუსჯელი და აშკარა ცინიზმი და უსინიდისობა. დიდი ცხოველ მყოფელი ძალა და ენერგია უნდა იყოს ხალხში, რომ მან შესძლოს ნახევარ საუკუნეზე მეტი გაძლება ამ საშინელ სასოფლო წყობილებისა. სოფლის მწერალ - მამასახლისი—ეს ხომ ის გლეხთა მტარვალებია, მათი ავსული და მაჯლაჯუნა, რომლებიც მათ გაუთავებლივ სტანჯავენ, აწამებენ და ჯვართ აცვამენ, გლეხის ისედაც გაწამებულ სულს. ამ ვაჟბატონებისაგან გაიქელა ყოველივე პატიოსნება, სინიდისი და კაცური გრძნობა. მათ მფარველობის ქვეშაა, ყოველი მათსავით გაიძვერა, ხოლო მათგან დაცინებული ყოველი ვისაც შერჩა ოდნავი მაინც პატიოსნება.

IV

ჩვენდა სამწუხაროთ, იგივე და უფრო ღრმა აღშფოთება გვეთქმის სასოფლო სასამართლოს შესახებაც.

ეს მეტად სიმპატიური დაწესებულება, ხალხის თვითმართველობის ეს საუკეთესო ფორმა გადაქცეულია ხალხის სინდისის იარად, მექრთამეობის და ბოროტმოქმედების დაწესებულებად.

რა მტკიცე და მკვიდრი უნდა იყოს ხალხის ხასიათი ან სული, რომელიც ზნეობა და ჯანგაუტეხელი ეურჩა ამ გამხრწნელ მოვლენას. დიდი ზნეობრივი ძალა უნდა ყოფილიყო ჩამარხული ჩვენი ხალხის სიღრმეში, რომ მან შეირჩინა სიმართლისა და ზნეობის მაღალი გრძნობა, მაშინ როდესაც გარშემო გამეფებული იყო ძლიერთა ძალმომრეობა, სუსტთა დაჩაგვრა, სიმართლის აბუჩადა და მასხარად აგდება, და მოძალადეთა უსაზღვრო ბატონობა.

დიდი სულგძელი უნდა იყოს ის ხალხი, რომელიც საუკუნეს მოკლებულიყოს ზრუნვას და ყურადღებას და არ გაბოროტებულიყოს.

კანონით სასოფლო სასამართლოს აქვს მინიჭებული დიდი რამ სიკეთე: მას აქვს უფლება სამართლის საქმე აწარმოოს ადგილობრივ წესებისა, ადათისა და ზნე-ჩვეულებისა; სოფლის სამართალს აწარმოებენ სოფლის ყრილობის მიერ არჩეული მსაჯულები სრულებით დამოუკიდებლივ; ეს მოსამართლენი სჯიან, როგორც გლეხთა შორის ყოველივე დავასა და საჩივარს, აგრეთვე მცირე დანაშაულობასაც; სოფლის სასამართლო არჩევს საქმეს, რომელიც არ აღემატება 100 მანეთს, ხოლო თუ მომჩივნები თანახმა არიან **სოფლის სამსჯავროს კომპეტენცია უსაზღვროა;** სოფლის სასამართლოს შეუძლიან დანაშაულობისათვის სასჯელის მიყენება, და ეს გადაწყვეტილება განუსაჩივრებელია.

როგორცა ხედავთ სოფელს აქვს მინიჭებული სრული თვით-მსაჯულების უფლება. მაშ რაა მიზეზი სოფლის დუხჭირისა და სასოფლო თვითმართველობის უვარგისობისა.

V

მაშ რა მიზეზია, რომ სასოფლო ყრილობის ნება-სურვილისათ დადგენილების ამსრულებლად ნაცვალ-მამა-

---

*) К. Гоциридзе. Положеніе о крестьянахъ Закавказья съ правительственными и сенатскими разъясненіями. Кутаисъ 1904 г.

ნიკურსა და სამხატვრო მხარეს ამხანაგობის რეჟისორი შ. დადიანი უგანათლებულეს ავტორთან ერთად შეიმუშავებს.

— „ტახტის მემკვიდრე“, ახალი ისტორიული პიესა ვანო ბარველისა, რომელიც „ქართული დრამის“ ამხანაგობამ წაიკითხა და მოიწონა, ცენზურაში ნებართვისათვის გაიგზავნა. ქუთაისის მხახიობთა ამხანაგობა ამ პიესას წრევანდელ სეზონში წარმოადგენს.

სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო წელს 27 ოქტომბერს ქართ. შორის წერ.-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთ. განყოფილებამ მგოსნის ილია ჭავჭავაძის საღამო ვერ მოაწყო. ხსენებული საზოგადოება ილიას საღამოს ყოველ წლობით მართავდა და კაი შემოსავალიც ჰქონდა.

— ქუთაისის მთავრობის ყველა სასწავლებლებთან შესდგა მშობელთა წრე რომელიც თვალყურს ადევნებს მოწაფეთა ქცევას და მონაწილეობას იღებს სასწავლებლების პედაგოგიურ საბჭოს კრებებზე.

— მომავალი წლისათვის ქუთაისის გუბერნიის მევენახეები უშაბიამანობით განსაცდელში აღარ ჩავარდებიან. შაბიამნის შემოსატანად ზომები მიიღეს ყველა წვრილი კრედიტის ამხანაგობებმა და აგრედვე ქუთაისის გუბერნიის მეღვინეობისა და მევენახეობის კომიტეტმა და კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამაც.

— ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა მებოჭკეებზე წყალის მისატანი ნიხრი. ნიხრი გზის მანძილის შედარებით 10 კაპ.-დან 30 კაპიკამდეა. მებოჭკეები ამ ჟამად მეტად უწესრიგოდ იქცევიან.

— 21, 22 და 23 ოქტომბერს ქუთაისის უფასო ქალთა სასწავლებელში გახსნილი იყო გამოფენა ხსენებული სასწავლებლის მოწაფეების ხელსაქნარისა. ამ გამოფენაზე ბილეთით შევიდა სულ 1104 კაცი და ქალი. გამოფენა ინახულეს თითქმის ყველა სასწავლებლის მოწაფეებმა.

— ქუთაისის სახაზინო პალატის ინსპექტორი პ. ს. შელესტოვი გადაიყვანეს ამავე თანამდებობაზე ქ. ყარსში, ხოლო მის ადგილზე დანიშნეს ქ. ბაქოს სახაზინო პალატის უფროსი ბ-ნი იოსელიანი.

— ნოემბრის შუა რიცხვებში ქუთაისში გამოვა სამხატვრო სალიტერატურო ალმანახი „ცისფერი ყანწები“. როგორც დამაარსებლები აცხადებენ, ალმანახში მოთავსებული იქნება „ლიტერატურული მანიფესტი“. როგორც გაზ. „სამშობლო“ გადმოგვცემს, ეს ალმანახი უნდა იყოს ქართველ ფუტურისტთა ორგანო.

— კარგი ამინდების მიუხედავად ქუთაისში აცივდა. განსაკუთრებით საღამოობით „უპალტოოდ“ სიარული შეუძლებელი შეიქნა.

# ნობათები

## მინიატურები

### VIII

**სულის რვეული**

კითხვებს ნუ მაძლევ, წაიკითხე სულის რვეული.

განა არ იცი, ვინცა ვარ და ან რა ვარ შენთვის? სიცოცხლის ტკბილო სიცოცხლეო, გულის კანდელო, მე ხომ სუნთქვა ვარ შენი სულის, მის ანარეკლი, მცირე ლერწამით გამოჭრილი ბზის სალამური, ვის მწარე კვნესა შენს ბროლის თითთ რხევითა ჰხდება, დაფნის უწმიდეს ჩურჩულითა უხმოდ მუსიკობს და აიაზმით განბანილი მზის საცეცხლურით ნელ-ნელ ეკმევა სილამაზის ფსალმუნთა მადლად, წმიდათაწმიდა სახარების სურნელოვნებად.

კითხვებს ნუ მაძლევ, წაიკითხე სულის რვეული.

ხელთუქნარ კალმით შენ სწერდი მას წმიდა ეტრატად, ვით სული წმიდა დედოფალი განმაახლებდი, შენს მეტყველებას ჩემ ქმნილების სახედ ჰბეჭდავდი, შენ—მახლობელი და იმავ დროს შორეული მზე, ვინც ჩემს ობლობის ოცნებასა ვარსკვლავებს ჰფენდი, ვინც მომევლინე ალტაცებად, ზეცის კურთხევად, ნირვანას წმიდა სალმუნების ნელსაცხებელად, რადღა გჭირია უცნაური კითხვების ძლევა, რადღა გსურს შენს წინ ვიმეტყველო ენაბრგვილობით?

კითხვებს ნუ მაძლევ, წაიკითხე სულის რვეული.

წმიდა ხარ წმიდა ვით მშვენება მარადისობის, ჩემი დუმილის დედოფალადა გიმზერ მარადჟამს, ცისკრად, შუადღედ და ღამისა წუთთა ტეხვის დროს ალგზნებულ კანდელს შავს ტბებიდან მიკრთოლებ უხმოდ, მისი სიცხოვლე მეფინება გულისა სითბოდ და გარდაქმნილი უხილავი არსისა სახით თრთოლვით შევისმენ შენს ქნარისა სასიზმრო ჟღერას, ტკბილ მოძალად ვექსოვები საცისკრო ჰანგებს და წამით ვხლართავ ალტაცებას და მშვენებას, წამით შევიმეცნობ მთელს მსოფლიოს მუნჯ საიდუმლოს, რის სახებასაც თრთოლვით ვკვეთავ შენს ქანდაკებად.

კითხვებს ნუ მაძლევ, წაიკითხე სულის რვეული.

### IX

**ღამის ბალლადა**

მთვარის სხივთა ფრთით დამარწიე ცისა ასულო!

ოცნების თვლემა, ჩრდილთა რხევა, იდუმალება, ვარსკვლავთა ენით მოტიტინე ზეფირის ფრენა, შენი მშვენების ციცლიგობა მნათობთა ხომლზე და ღვთაებრივი ნაპერწკლები სულის კანდელის,—აი რა მოჰფენს სალმუნებას ჩემს ობოლს სულსა, აი მარად ყრმას, მწირს და ველურს რა მკოცნის მწვავედ, აი მრთოლვარე სურნელების ჰიმნად რას ვართავ, სადაც ყრუდ ისმის მტკივნელ გულის გამოძახილი.

მთვარის სხივთა ფრთით დამარწიე ცისა ასულო!

ჰო, აი აგრე, არ შეინძრე, გაყუჩდი წუთით! შესდექ, ნუ უშლი ცას იცუროს შენს ვარსკვლავთ ტბაში, მისი ცვარ-ნამი სულს ეჩვენოს ღვთაების სარკედ, ღამის უჩინარ ხეთა შტომა ფოთოლთა ფშვენით ააცისკროვნოს ღვთაებრივი ღელვა სულისა, შენს წამწამთ ჩრდილი შეურიოს დუმილის ლანდსა, რომ ასე უხმოდ გაიფურჩნოს სულის სამეფო, გრძნობა-გონების ზენაარსი უშფოთველობა.

მთვარის სხივთა ფრთით დამარწიე ცისა ასულო!

ვიშ ამ მშვენებას! ნეტარების მთვლემი სიმთვრალე მთელს მსოფლიოსა ფიანდაზად უფურჩნის ჩემს გულს, მე მას ალვავსებ და იგი მე! ცის დედოფალო, გაფიცებ მაგ შენს დედოფლობას, ცისკრის მშვენებას, კაცთ ნათესავსაც აჩვენო ეს სანახაობა, ბილწი ცხოვრება მოირეცხონ, აღივსონ მადლით და ჩემებრ ლაღად შენთან ერთად იხილონ ეს მზე, იხილონ სხვა ცის წალკოტობა, სხვა ქვეყნის ძალა, სადაც მოკვდავი შეიქმნების ღმერთთ თანასწორი, გრძნობა-გონებას ენიჭება სხვა თვალთა ხედვა და ასე ნაზად, სუმბულ ხელით ოქროს ძეწკვითა აამუსიკებს მთელს სამყაროდ მზის სიმთვრალად.

მთვარის სხივთა ფრთით დამარწიე ცისა ასულო!

### X.

**მწუხრი ფანტაზია.**

აჰ, რა კარგია ძველი ზღაპრის მიმოგონება!

შენ იმ დროს მოხველ ჩემ ქოხის წინ ყარიბთან სტუმრად, როს ავადმყოფი ყრუ კვნესითა ქვეყანას ვძრავდი; შენ არ გაუფრთხი ჩემს სიყვითლეს, დაავადებას, ყრმა შემიბრალე, მომეახლე, ალერსი მიძღვენ, სული მოეყრდნო შენს ოცნების მხურვალე შუბლსა და, უიმედომ, ვით მენავემ ანძის ანაზრად, კვლავ დავიმღერე სასოების მკვირცხლი სიმღერა, კვლავ მოუწოდე ქარბუქს ტანჯულ სულთან საბრძოლად, კვლავ „მშვიდობითის“ ხელის ქნევას მივენდე გულით, რომ ჩემი ბედი კვლავ ზამბახად გაიშლებოდა, შენც ტკბილ ღიმილით ჩემს იმედებს დასტურსა სცემდი და შენს ხელთუქნარ საღმრთო საფარს მისაკუთრებდი.

აჰ, რა კარგია ძველი ზღაპრის მიმოგონება.

ვიმღერდი ობლად და მსმენელი შენ ერთი გაჩნდი. ჩუმ ხმით მგლოვარე სერაბიმის გოდების მნათემ უკუ ვყარევი მომაკვდავის შავბნელი კვნესა, ალვახე თვალი და ოცნების გაშლილი ფრთებით კოცნის გვირგვინით შეგიფარგლე გიშრის ნაწნავნი, შენც სათნოების დაბლა კმევით განმამხნევებდი და ია-ვარდის წყნარი ფენით კვლავ სმენად ვდექ...

აჰ, რა კარგია ძველი ზღაპრის მიმოგონება.

ჩემი ოცნება, გულის ზრახვა, მისწრაფებანი დასწვა ღვთაებრივ ალტაცების წმიდა ალმურმა, ოქროს ტახტრევნით მოფრენილი ცის დედოფალი, გიუმაყვერის ციაგობით ისე მეჩვენე, ვით ჩვილს სიზმრებში ანგელოზი მეცხადებოდა: წყნარი, უებრო, შიშველ გულის ხელით მფარავი, ვარსკვლავთ ყვავილა თაიგულის ჩემ წინ მფინავი, მდუმარე ენით აღმითქვამდი ტანჯვის ალსასრულს, მიტომ ალვეგზნე შენს სახების საღმრთო კანდელად, ლოცვად დავემხე, განწმედილმა ვიწყე ლალადი, მაგრამ რა, ეჰა! იმავ ლოცვამ შენ გაგაქცია, მარტოდ დამტოვა კვლავ კაეშნის ნავის ნამსხვრევთან.

აჰ, რა კარგია ძველი ზღაპრის მიმოგონება!

Candide.

# ბალკანეთის ფრონტი




ამ რუკაზე ნაჩვენებია სალონიკიდან ბელგრადს მიმავალი რკინის გზა, რომელიც ავსტრო-გერმანეთმა ჩრდილოეთით, ხოლო ბულგარეთმა აღმოსავლეთით ხელთ იგდეს.

# ქალთა ქართულ გიმნაზიაში

ვინც თვალყურს ადევნებს თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა დამხმარე საზოგადოებას, ქართულ გიმნაზიებთან არსებულს, ვინც დაიარებოდა მის საზოგადო კრებებზედ—მას კარგად ელოდინება რა გულმოდგინედ და სიმპატიით ეპყრობოდნენ საზოგადოების წევრნი ქალთა სკოლას. მაგრამ იმავ დროს მას არ შეეძლო არ შეემჩნია აგრედვე ის გულგრილობა რომელიც იჩინეს საზოგადოების გამგე კომიტეტის წევრთა უმრავლესობა იმავ ქალთა სკოლის მიმართ.

მოიგონეთ უკანასკნელი სხდომები საზოგადო კრებისა გასულ მაისში. იმ დროს როცა ისე ენერგიულად იცავდნენ ახალი შტატების შემოღებას ახალის ჯამაგირებით ვაჟების გიმნაზიისთვის, ქალთა სკოლის შესახებ გამგე კომიტეტი დიპლომატიურად სდუმდა. საზოგადოების ზოგიერთ წევრის შეკითხვაზე, რატომ არ ადიდებენ ხარჯთაღრიცხვას ქალთა სკოლისთვისაც, გამგე კომიტეტის წევრებმა ფლეგმატიური პასუხი გაიღეს: „გვიჩვენეთ წყარო საიდანაც შეიძლება ფულის შოვნა და სიხარულით გავადიდებთ ქალთა სკოლის ხარჯთ აღრიცხვასო“. ეს წყარო უჩვენეს და ხარჯთ-აღრიცხვაც გაადიდეს... მაგრამ მხოლოდ ასი მანეთით.

სჩანს გამგე კომიტეტი გამდიდრებულა და თვით უპოვია ახალი წყარო. ამ დღეებში, გიმნაზიის დირექტორის წარდგენით, გამგე კომიტეტმა დაადგინა მიეცეს ამ წელს ჯამაგირის გარდა დახმარების სახით სამას-სამასი მანეთი მოსამზადებელ კლასების ექვს მასწავლებელს იმავ ვაჟების გიმნაზიაში. მასწავლებელთა შრომის დაჯილდოვების წინააღმდეგი არა ვართ, მაგრამ გამგე კომიტეტმა ქალთა სკოლა ისევ დაივიწყა. მან დაივიწყა, რომ ქალთა სკოლაში არიან ისეთი კლასის დამრიგებელნი, რომელნიც თვეში 20 მანეთს იღებენ. მხოლოდ და გაცილებით ნაკლებ არიან დაჯილდოვებულნი, ვიდრე გიმნაზიის დაბალი მოსამსახურენი, რომლებიც ბინასა, განათებასა და გათბობასთან ერთად თვიურად 20—35 მანეთ ჯამაგირს იღებენ; მან დაივიწყა, რომ ქალთა სკოლა ბევრ აუცილებელ რამეს არის მოკლებული, რომ ამ სკოლაში „პარტებიც“ კი არ არის რიგიანი და ბავშვებს ხერხემლები უსახიჩრდებათ.

20 ოქტომბრიდან გიმნაზიიდან 53 მოსწავლეა დათხოვნილი სასწავლო გადასახადის შეუტანლობის გამო, რომელიც 1377 მანეთს უდრის. თუ გამგე კომიტეტს ზედმეტი ფული აქვს, ყველაზედ უწინ ის უნდა ახსოვდეს რომ „სწავლის მსურველთა დამხმარე საზოგადოების“ კომიტეტია და ზედმეტ ფულის განაწილების დროს არც ეს უსახსრობის გამო დათხოვნილი შეგირდები დაივიწყოს.

ბ.

# სოფლის ჭირ-ვარამი

წერილი მეორე

**გლეხის საერთო მდგომარეობა.**

არას დროს არ ყოფილა ჩვენი გლეხი კარგს მდგომარეობაში, მაგრამ რა მდგომარეობაშიაც დღეს იგი იმყოფება, ყოველ გაჭირვებას აღემატება.

ამ გაჭირვებას განიცდის კახეთისა, ქართლისა და იმერეთის გლეხობა საერთოდ და მათ შორის ქართლის გლეხობას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

სოფელი ღვთის ანაბარაა მიტოვებული, სოფელს პატრონი არა ჰყავს, არავის შესტკივა მისთვის გული. გლეხი საითაც მიიხედავს მტერსა ჰხედავს. ყველა იმაზე ნადირობს, ყველა სცდილობს ხელში ჩაიგდოს, მოატყუილოს, ტყავი გააძროს.

გლეხის გული იმდენადაა გატეხილი, გულში ისეთი უნდობლობა აქვს ჩამარხული, რომ აღარავისი სჯერა, აღარავისი ნდობა აღარა აქვს. შენი გულწრფელობა უნდობ გულს ვერ მოისყიდის, შენი სურვილი, რომ რაიმე სარგებლობა მოუტანო, სურვილად რჩება, რადგან ვერ დააჯერებ გლეხს შენს უანგარობაში. წარმოდგენითაც ვერ წარმოუდგენია მას, რომ ქვეყანაზე დაიბადება იმისთანა ადამიანი, რომელიც მის გაგლეჯას არ მოინდომებს, როგორც ვერ დააჯერებ მაგალითად კურდღელს, რომ მისი მოალერსება გინდა სხვა არაფერი.

სოფლად გლეხთან დამოკიდებულება აქვს მემამულეს, მღვდელს, მასწავლებელს, სოფლისა და მაზრის სამმართველოს მოხელეებს, ყველა ამათ გლეხი ჰკვებავს, ყველა ფულს ახდევინებს, ყველა აწუხებს, ყველა ძალას ჰხმარობს. ვის დაუჯეროს გლეხმა, ვისი გულწრფელობა იწამოს, გაჭირვების დროს ვის მიმართოს, ვისგან მიიღოს შველა?

ერთთან რომ მივა და მეორეზე შესჩივლებს, და სამართალს მოითხოვს, „მოსამართლე“ აღელდება და გულისწყრომით წამოიძახებს: აი, ის უსვინიდისო, ისა! მაგრამ ეს გულისწყრომა, ფსიხოლოგიურად რომ გავარჩიოთ, გულისწყრომაა ადამიანისა, რომელსაც რაღასაც ართმევენ, მის საკუთრებას ეხებიან. გლეხს ის თავის მწველელ ძროხათა სთვლის და გული მოსდის, რომ სხვაც სწველის.

არც ეს კმარა. ასე რომ იყოს, კიდევ არა უშავს რა. ასე იყო დღემდის. ბატონ-ყმობის დროს მებატონე და გლეხის „განთავისუფლების“ შემდეგ იგივე მებატონე, რადგან ამ გვარი განთავისუფლებით გლეხს დამოუკიდებელი ცხოვრება ვერ მოუპოვებია, ეს მებატონე, ეს მემამულე მუდამ კისრად აწვა გლეხს, მაგრამ იმავე დროს მფარველობას უწევდა. ეს მფარველობა გამოიხატებოდა იმაში, რომ უსამართლოდ არავის გააყვლეფინებდა და არავის გაალახვინებდა. ბევრი მამასახლისი და პრისტავი მინახავს მემამულის მათრახით აჭრელებული: „ჩემი გლეხი“ რად დაიჭირეთ, ან რად სცემეთო. ბევრი ჩარჩი მინახავს დაქვეითებული „აღმასრულებელ ფურცლით“ ხელში: „ჩემია, მე კიდევაც ვცემ, კიდეც გავატყავებ, შენ ნებას არ მოგცემ ხელი ახლოო“.

მეორეს მხრივ სასოფლო და სამაზრო მმართველობანი იფარავდნენ გლეხს იმავე მემამულეების თვითნებობისაგან. თუ საქმე სასამართლომდე, ან ადმინისტრაციამდე მიაღწევდა, თვითნება მემამულეს ასამართლებდნენ და სჯიდნენ. ეს უკანასკნელნი ამბობდნენ: „გლეხი ჩვენ მფარველობის ქვეშ იმყოფება, ნებას არ მოგცემთ, უკანონოდ მოექცეთო.

ასე იყო დღემდის, დღეს ხალხის მოძრაობის შემდეგ სურათი იცვალა.

მემამულესა და გლეხს შორის ერთის მხრივ და ადმინისტრაციასა მეორეს მხრივ ჩამოვარდა სიძულვილი და მტრობა. ორივ ეჭვის თვალით შეჰყურებს გლეხს და აქედან იწყობა ზედმეტი ტანჯვა-ვაება გლეხობისა.

დღეს გლეხი დამარცხებული მეომარია. მეომარი, რომელმაც მარჯვნივ და მარცხნივ ომი გამოაცხადა და ვერ გაიმარჯვა, ერთსაც და მეორესაც ტყვედ ჩაუვარდა. დღეს გლეხს ზემოთაღნიშნული მფარველიც აღარა ჰყავს. „არ გინდოდა ჩვენი მფარველობა, ახია შენზე, რაც მოგივა!“ ეუბნევიან გლეხს მარჯვნივ და მარცხნივ და საქაჩავში ჰყავთ გათანგული.

ერთისგან შეწუხებული დღეს ველარ მიდის გლეხი მეორესთან საჩივლელად. საითაც მიიხედავს, მტერი ჰხვდება. სძარცვავენ უწინდებურადა, ნუგეშს კი აღარავინა სცემს.

სოფელში მოვხვდი იმ დროს, როდესაც ერთი მებატონე ადმინისტრატიული წესით ახდევინებდა სოფელს სამას თუმანს—მოძრაობის დროს გაჩეხილ ტყეების ზარალს. ჩემთან მოვიდა რამდენიმე გლეხი რჩევისთვის. იმ გვარი მწარე წუთები, რომელიც მე იმ დროს განვიცადე, ჩემს დღეში არ განმიცდია. რა უნდა უპასუხო შველაზე ადამიანს, რომელსაც სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს და სახრჩობელაზე მიჰყავთ?! დამორჩილების მეტს რას ურჩევ? მეც დამორჩილება ვურჩიე.

მაგრამ არც ეს აკმარა ბედმა ჩვენს გლეხს. მას მოულოდნელად გაუჩნდა კიდევ ერთი მტერი—სოფლისა, დაბისა და სამაზრო ქალაქების ჩარჩ-ვაჭარი.

ვინ არიან ჩვენი სოფლის ჩარჩ-ვაჭრები ყველამ კარგად უწყის და ამიტომ მათი დასახელება საჭირო არაა.

აღსანიშნავი მხოლოდ ისაა, რომ დღემდის ჩვენი სოფლების ვაჭარი იყო უბრალო ვაჭარი, იცოდა თავისი ჯიბე და სხვა არაფერი. თავის თავს სთვლიდა წევრად იმ საზოგადოებისა, იმ სოფლისა, სადაც ვაჭრობდა და თუმცა სარგებლობდა გლეხის მდგომარეობით და ყოველგვარი საშუალებით სცდილობდა მისი სარჩო-საბადებლის ხელში ჩაგდებას, მაგრამ, ვიმეორებ, ის იყო უბრალო ჩარჩი, უგულო, სინიდის მოკლებული წევრი საზოგადოებისა, რომელსაც მიზნად დაუსახავს პირადი კეთილდღეობა და მთელი თავისი მოკლე ჭკუა და ბოროტი გული მიუმართავს ამ კეთილდღეობის განხორციელებისთვის. დღეს ეს ვაჭარი მოევლინა ჩვენს გლეხს, როგორც მოწინააღმდეგე პოლიტიკური მოღვაწე.

ის ვაჭრობს და იმავე დროს თავის პოლიტიკას ემსახურება. დღემდის ის იგდებდა ხელში გლეხის სარჩოს, რომ ჯიბე გაესქელებინა, დღეს ამ უბრალო, მარტივ მიზანს ზედ ერთვება „უმაღლესი“, რთული მიზანი.

სოფლის ვაჭარი დღეს ის აღარ არის, რაც იყო. მორჩილი, თავმდაბალი, მორიდებულ-მოკატუნებული, დღეს მას თავი მაღლა აუღია და ამაყად, მედიდურად გამოიყურება, დღემდის მის ძალას შეადგენდა ფული და გაიძვერობა, ფიზიკურ ძალას კი მოკლებული იყო. დღეს ეს ძალაც შეიძინა. ზურგს უკან მას ჰყავს შეიარაღებული მცველი, რომელიც დაიფარავს, თუ რაიმე განსაცდელი დაადგა. ის არის პარტიის წევრი, მრავალ-რიცხოვანი პოლიტიკური პარტიისა და თავის მიზანს თამამად და თავისუფლად ახორციელებს, რადგან ხელის შემშლელი არავინა ჰყავთ, რადგან ჩვენი სოფლები უპატრონოდაა გაშვებული.

ხშირად შეხვდებით თქვენ სოფლებში, მომეტებულად კი დაბებში და სამაზრო ქალაქებში უცხო ტომის კაცს „პიდჟაკ“-ზე იარაღ შემორტყმულს, მაღალის ცხვრის ქუდით, რომელიც არავინ იცის ვინ არის, რა კაცია და რა მიზნით მოსულა. შეხვდებით აგრედვე ამ გვარივე ჯურის ხალხს, რომლებიც რამდენიმე კაცი ერთად დადიან, სოფლიდან სოფლად დააქვთ თან ფოტოგრაფიული აპარატები და იღებენ სურათებს ადგილებისას, ციხეებისას და სხვა.

ვის უნახავს მაგალითად ჩვენში დღემდის ამ გვარი სურათი სოფელში: ერთი ვაჭარი დაინიშნა ქართველ გა-

სახლისი გამოდის, მაშინ როდესაც სასოფლო ყრილობას სრული თვითმართველობის უფლება აქვს მინიჭებული, რად არის სოფელი ანარქიისა და ძალმომრეობის მსხვერპლი, როდესაც მას მინიჭებული აქვს თვითმსაჯულებისა და თავისი თავის შველის უფლება?!

თავი და თავი მიზეზი თვით **სოფლის ყრილობის ბუნებაშია**; როგორც ზევითაც გვქონდა მოხსენებული, თუმცა კანონით ყრილობის წევრი, მხოლოდ „კამელარიაში“ ჩაწერილი კომლის კაცი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ფაქტიურად სასოფლო კრებას კომლზე კაცი და ხან უფრო მეტიც ესწრობა; მიუმატეთ ამას თვითეულ სამამასახლისოში ხალხის სიმრავლეც და თქვენ თვალ წინ წარმოგიდგებათ მრავალ-რიცხოვანი აწინდელი სოფლის ყრილობა; რომელსაც ესწრობა რამდენიმე ასი და ხან ათასი კაციც. ყაყანი, ყვირილი, უკანა რიგში გინება და უადგილო ოხუნჯობა; ამ ჯოჯოხეთურ გუგუნში, არამც თუ სხვის აზრის მოსმენა, არამედ საკუთარ ხმის გაგებაც გიჭირს კაცს. ყოვლად შეუძლებელი აქ რაიმე წესრიგის დაცვა, რადგან ეს ამოდენა ხალხი გარეთ, ცის ქვეშ იყრის თავს და არავითარი წარმოდგენა არა აქვს კრებისა და სხდომის ტეხნიკაზე: ე. ი. საგნების წრეთ განხილვასა და ჯერითვე ლაპარაკზე.

პირვანდელი სოფლის საზოგადოება რომ ყოფილიყო, ერთი სოფლისაგან შემდგარი, მაშინ აზრი ექნებოდა კომლზე კაცისაგან შემდგარ კრებას, მაგრამ როგორც მოვიხსენიეთ ხარჯების შემცირების სურვილით სოფლებისა და სამამასახლისოების შეერთებამ ამ გვარი ტიპის ყრილობა გააუქმა და რამდენიმე სოფელი მოაქცია ერთ საზოგადოებაში და მით სოფლის ყრილობათა შემადგენლობა ძალზედ გაამრავლა.

ამის მიზეზით—ხან ძნელი ხდება კანონიერ რიცხვის შეკრება და ხან კიდევ ბევრი ხალხის დასწრებით, როგორცა ვსთქვით, არ არის ყურთა სმენა, ერთმანეთის გაგება შეუძლებელი ხდება და მობეზრებული და ილაჯგაწყვეტილი ხალხი სტოვებს გულ-გატეხილი ამ გვარ კრებას. რა თქმა უნდა, ამ გვარ მდგომარეობით ისევ „მწერლისა“ და „ჩარექა არაყის“ პარტია იმარჯვებს: ხმა წასული ყვირილითა და მოქანცული უნაყოფო ყაყანით გლეხები იშლებიან და სოფლის მწერალს რაც ეპრიანება იმას გაასაღებს სოფლის გადაწყვეტილებად.

ხალხმა კარგად იცის რომ მისი არა გავა რა, რომ ბოლოს და ბოლოს ის იქნება, რაც მწერალ-მამასახლისსა სურს, ამისათვის იგი სოფლის ყრილობას ან არ ესწრობა, ან, თუ მას, კანონიერ რიცხვის შესავსებად, კრებაზე მაინც მორეკავენ, იგი გულგრილად ეკიდება საქმეს, ხშირად თვით უწყობს ხელს უწესოებას, რადგან გამოცდილებით იცის რომ სოფლის საქმეებში მისი **არა გავა რა**, რო ყველა ისე მოეწყობა როგორც ეს სურს და ნებავს არა მას არამედ სოფლის მამასახლისს.

იცის უსაზღვრო და შეუზღუდველი ბატონობა თვის მოხელეთა და ამიტომ პირდაპირ ტრადიციად გადაიქცა მოხელედ **უვარგის კაცის ამორჩევა**.

რისთვის? მისთვის რომ რაკი ამ მოხელეების კონტროლი და შეზღუდვა მას არ ძალუძს, რაკი არც მთავრობაა და არც ამისთვის დაყენებული ჩინოვნიკები, ეგრედ წოდებულნი მომრიგებელნი შუამავალნი, აგრე რიგად ამაებისთვის თავს არ იტკივებენ—ხალხი რჩეობს ისევ უვარგისი და სუსტი პიროვნება ამოირჩიონ ამ განუსაზღვრელ თანამდებობაზე, ვიდრე ძლიერი და გამჭრიახი, რომელიც უფრო ძლიერად და გამჭრიახად დასჩაგრავს თვისსავე ამომრჩეველ ხალხს.

(დასასრული იქნება)

ვინმე სოფლელი.

სათხოვარ ქალზე, და, როგორც მოგეხსენებათ სოფლის ჩვეულება, ჯვრის დაწერამდე, დანიშნული დაიარებოდა ქალის ოჯახში როგორც კანონიერი ქმარი. გავიდა ხანი, დანიშნული ჯვრის წერას აგვიანებდა. ქალი დაორსულდა. მაშინ დანიშნულმა გამოუცხადა მშობლებს: თქვენი ქალი თუ მიიღებს ჩემს რჯულს, ჯვარს დავიწერ, არა და არ შემიძლიანო. მშობლები დიდხანს იყვნენ უარზე, მაგრამ ოჯახისა და ქალის შერცხვენამ აიძულა იგინი დასთანხმებოდნენ და თავის ქალს რჯული გამოაცვლევინეს.

ვაჭარმა იცოდა, რასაც სჩადიოდა.

ბევრი რამ სხვაც ხდება ჩვენს სოფლებში მაგრამ ამ ჟამად მე არ შემიძლიან ყველაფერის თქმა. დადგება დრო, როდესაც სუყველაფრის თქმა შეიძლება. დღეს ვიტყვი მხოლოდ, რომ ჩვენი სოფელი უპატრონოდაა გაშვებული, რომ ჩვენი გლეხი აუტანელ პირობებში იმყოფება და თუ სხვა მოსაზრება არა, უბრალო შებრალების გრძნობა ავალებს ადამიანს მათ მიეპატრონოს.

სვ. უ—ნი.

## პროვინციის ქრონიკა

**ალაზნის ველზე.**

მლოცველები „ალავერდობიდან“ სახლში ბრუნდებოდნენ, მათ გზაზე თავს დაესხა ხუთი შეიარაღებული ყაჩაღი. თავდასხმის დროს მოკლულ იქმნა საუფლისწულო მამულთა მეთვალყურე პეტრე გოგიჩაიშვილი. მძარცველთაგან შეიპყრეს: კოსტა ანცუბელიძე, კოსტა კახიძე და რაჟდენ კახიძე.

**თელავი.**

პოლიციათა და ყაჩაღთა შეტაკების დროს მოკლულ იქმნა ორი ყაჩაღი. რენქაშვილი, მხოლოდ მეორეს გვარი ვერ გაიგეს, სროლის დროს დაიჭრა გზად მიმავალი 13 წლის ბავშვი.

**სოფ. ნაგომარი.**

საბალახოს გამოისობით თუშ მწყემსებს ჩხუბი მოუვიდათ, რომელიც თოფის სროლაზე გადავიდა. სასიკვდილოდ დაიჭრა დათა ხმალაძე და მსუბუქად ქურდაშვილი.

**ჩოხატაური.**

13 ოქტომბერს აქ ჩამოვიდა ქუთაისის საოლქო სასამართლოს სესია, რომელსაც რამდენიმე საქმე ჰქონდა გასარჩევი.

— ახლად გახსნილ უმაღლეს პირველდაწყებით სასწავლებელში მისაღები გამოცდები დასრულდა. სწავლა დაიწყო.

**ლანჩხუთი.**

აქ ააგეს საკუთარი ქვის შენობა სადაც უნდა მოათავსონ: კოოპერატივი, სამკითხველო, ფურნე და სხვა.

**სოფ. წითელმთა** (გურია).

მიიღეს ნებართვა გუბერნატორისაგან კოოპერატიულ ამხანაგობის გასახსნელად.

— ასეთივე ამხანაგობის გახსნის ნებართვა მიუვიდა სოფ. გორის ფერდის მცხოვრებთ.

**ბორჯომი.**

22 ოქტომბერს აქ თათბირი გაიმართა კოოპერატიულ მაღაზიის გასახსნელად. ხალხმა ერთსულოვნად დაადგინა მაღაზიის გახსნა და საჭირო საქონლის გამოწერა-შეძენასაც შეუდგა.

**სოფ. მარტყოფი.**

წარსულ კვირას მომხდარ ადგილობრივ მომხმარებელ საზოგადოების ყრილობაზე, შიმშილობის თავიდან ასაცილებლად მარტყოფის საზოგადოებამ ფული გაიღო რუსეთში ხორბლეულობის შესაძენად. ხალხი ხორბალს მუდამ დღე ელის, მაგრამ ჯერ-ხნობით იგი არსად სჩანს.

**ოზურგეთი.**

18 ოქტომბერს თავის სახლში მოჰკლეს სოფ. კვირიკეთის მცხოვრები გიგოლი ქავთარაძე. მკვლელობის მიზეზი გამოურკვეველია.

**სოფ. ჩიბათი** (ოზურგ. მაზ.)

მთავრობის წინადადებით აქ დამშეულთა სიას ადგენენ, ხალხს დახმარებას პირდებიან.

**საჩხერე**

აღიძრა საკითხი კოოპერატიულ საზოგადოების დასაარსებლად.

**სოფ. კინოთი** (შორაპნ. მაზრა)

მეტად ცუდ ჩვეულებას აქვს ჩვენს სოფელში ფეხი მოკიდებული, ხალხი კულტურულ საქმიანობას გაურბის, სამაგიეროდ გავრცელებულია ათასგვარი ცრუმორწმუნეობა, ყოველი გაჭირვებული მცხოვრები ხსნას მკითხავთან ელის. საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიექცეს.

## პროვინცია

**დ. ცხინვალი** (გორის მაზრა). ბევრი რამ სახეირო არ ითქმის ჩვენს დაბაზე. საზოგადო ცხოვრება აქაც ყველა იმ ნაკლულევანებას განიცდის, რაც განიცადა ჩვენის სამშობლოს ყოველმა კუთხემ. უკაცრო სოფლებიდან ცხინვალს ყოველ დღე ესმის დრტვინვა, გაჭირვებულთა წუხილის ხმა, მაგრამ ჩვენ ვერა გვიშველია რა, ან რას ვუშველით, როდესაც საკუთარ წყლულებს ვერასა ვრგებთ! აი, ეხლაც მთელს დაბას და ახლო მდებარე სოფლებს ათასი სენი მოედო, განსაკუთრებით ბავშვების ავადმყოფობა, მაგრამ ვინ არის პატრონი. მართალია, ჩვენს საშველად გორიდან დროებით სასანიტარო ექიმი ბ-ნი ნ. კლიმიაშვილი გამოგვიგზავნეს, მაგრამ ერთი კაცი ამოდენა ვრცელ რაიონში რას გახდება, ისიც ასე მოუცლელი, როდესაც იძულებულია ერთი ფეხი ხან აქა ჰქონდეს და ხან იქ. სასწაულმოქმედი ექიმიც რომ იყოს, თქმა არ უნდა, აქ ერთი ვერას გახდება, ასეთი ბედი შესძლვნა ცხინვალს და მის რაიონს ომმა, უკაცრობა, გაჭირვება სწორედ მაშინ, როდესაც ბუნებამაც თითქოს განგებ ჩვენზე გამოილაშქრა და ავდრებით აგვიკლო, თავისთავად ჰქმნის მძიმე და აუტანელს ატმოსფერას, რომლის დაძლევა არც აგრე ადვილია. ხალხი მოუთმენლად ელის მსოფლიო უბედურობის ამშლელ ომის დასასრულს, მაგრამ იქნება მალე? ღმერთმა უწყის. ჯერ-ჯერობით კი იმაში ვრწმუნდებით, რომ ომი იგი თანდათან უარესდება და ახალ სისხლ-ხორცის და შვილების გაყვანასა გვთხოვს...

სოლომონი.

**დ. ჩხარი.** წრევანდელი წელიწადი ჩვენთვისაც უნუგეშოა. განრისხებულმა ბუნებამ არც ჩვენი ყანები დასტოვა დაუზარალებელი. ღვინით განთქმულ ჩხარში წელს ყურძენი გასასინჯადაც არ იშოვება. ჩხარის მახლობელი მცხოვრებნი ეხლავე დიდს გაჭირვებას განიცდიან, დღევანდელ დღით დაფიქრებული ხალხი მომავალ წელზე სჯის, უშაბიამნობა, რამაც წელს გამოიწვია მთელ ზემო იმერეთის ვენახების წახდენა, ხალხს დიდად აღონებს.

— აქეთ უკვე ასწერეს ჯარში გასაწვევად 1897 წლებში დაბადებულები.

— ჩხარში არსებული სამკითხველო მეტად ცუდს და უნუგეშო მდგომარეობაშია, ჩხარი საკმაოდ მოზრდილი და შეძლებული დაბაა, მაგრამ სამწუხაროდ კულტურულ სარგებლოვან დაწესებულებას უყურადღებოდ ეკიდება, სამკითხველოს გაზეთები ჯერ საკმაოდ არ მოსდის, მხოლოდ, რაც მოსდის მათ უქმად სამკითხველოში მოსიარულენი იტაცებენ ხოლმე, საჭიროა დღეიდან გაზეთების დანომვრა, ან ბეჭედის დაკვრა. საჭიროა აგრეთვე ჩხარელები მეტის პატივ-ყურადღებით მოეკიდნენ სამკითხველოს, იზრუნონ მის საკეთილდღეოდ, თორემ ჩვენს დროში ძველი წეს ჩვეულებით, მოწყვეტილად ცხოვრება არ ვარგა.

ირი.

**ბაქო.** უცნაური მოვლენა ბევრია ქართველთა ცხოვრებაში, ამიტომაც ნუ გაკვირვებთ თუ ბაქოს ტეხნიკურ სასწავლებელში არა ნაკლებ უცნაური ამბები ხდება. ამ სასწავლებელში 50 კაცი მაინც იქმნება ქართველი. აქაური ინსპექტორი მეტად უჯიათად ეპყრობა მათ. მისი აზრით ქართველი მოწაფე რახანც არის, შეუსმენარი და განათლების არაღირსი იქნება კიდეც. მაგრამ რაც ეპატიება მას, როგორც უცხოს, ის არ უნდა ეპატიებოდეს ქართველ მასწავლებელს ბ-ნ გ—ძეს. იმის მეტი აქ ქართველი მასწავლებელი არვინ არის, ისიც სახელოსნოშია. მაგრამ საქმეც ის არის, რომ თვისი ქცევით იგი ნამდვილი ლეგენტრატია. როცა მოწაფე მიდის სამუშაოს შესახებ ჰკითხოს რამე, იგი უდიერად იშორებს თავიდან: „Что же цристаете какъ настоящій грузинъ“-ო. მაგრამ უფრო უკეთეს მარგალიტებსაც არ ინანებს: „Нельзя быть грузиномъ въ русскомъ учебномъ заведеніи“... მის უდიერობას, ლანძღვა-გინებას საზღვარი არა აქვს. შეუძლებელია ადამიანი არ აღშფოთდეს მის საქციელით, ქართველობის უარის ყოფა, ქართველობის ლანძღვა მას არა თუ არ ეთაკილება, სასახელოდაც მიაჩნია. ნეტავი მას, ალბად „სახელოვან“ ძეგლის დადგმას თუ ოცნებობს შთამომავლობისთვის.

ტეხნიკი.

**გოგირდ-შაბიამანი იმერ საქართველოს საჭიროებისთვის.**

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ იმერეთის წრევანდელი დამშევა უმთავრესად გამოწვეულია მეურნეობის ხეირიანად მოუწყობლობით.

ზემოიმერეთს შარშან რომ გოგირდ-შაბიამანი ეშოვნა, მაშინ თითოეულ მოსახლეს 200—300 მანეთი ზარალი არ მოუვიდოდა. მაგრამ მაშინდელ შეცდომას თავი დავანებოთ და გავითვალისწინოთ დღევანდელ-ხვალინდელი.

ამ ჟამად იმერ-საქართველოს ყველა მცხოვრები ღრმად დარწმუნებულია, რომ ჩვენი სოფლის დღევანდელ მეურნეობას აუცილებლად რეორგანიზაცია ეჭირვება, მცხოვრებნი მუდამ დღე იხვეწებიან საკრედიტო ამხანაგობის, თუ სხვა კოოპერატიულ დაწესებულების წინაშე, რომ მომავალი წელიც წრევანდელსავით ულმობელი არ იქმნეს, ითხოვენ სხვა და სხვა საჭირო მასალის მიწოდებას.

პირველ რიგის საკითხად სათესლე-სანოვაგის შემდეგ გოგირდ-შაბიამანი დაისმის. იმერეთის საჭიროებისთვის წელს ჩვენ „ფრიდლონოვის“ ფირმა გვპირდება შაბიამან-გოგირდის შემოტანას, მაგრამ დაპირება ყოველთვის ვერ არ ს ნაყოფიერი, რადგან შარშანდელმა დაპირებამაც ხახამშრალი დასტოვა ჩვენი ქვეყანა. საჭიროა იმერეთის მეურნეებმა დღესვე მიიღონ ზომა შაბიამანის შესაძენად.

ამ მოკლე ხანში ჩვენ გამოვაქვეყნებთ ცნობას, თუ რამდენი შაბიამან-გოგირდი დასჭირდება ზემო-იმერეთს და შემდეგ სხვა კუთხესაც.

ი. ჯიხაიშელი.

**ქართ. გიმნაზ. დირექტორის ბ-ნ ჭიჭინაძის წერილი,**

მოწყალეო ხელმწიფევ,
ბატონო რედაქტორო!

ვიღაცას ამბავი მიუტანია გაზეთის „თანამედროვე აზრის“ რედაქციისათვის, ვითომ მე მეცემოს სასწავლებლის მსახურთათვის, და ხსენებულ გაზეთს ეს მოუთავსებია № 186-ში. შემდგომ ესევე გაუმეორებია „სახალხო ფურცელს“. ვალად ვრაცხ მოვახსენო მკითხველს საზოგადოებას, რომ უწყებული ამბავი მოკლებულია ყოველს სიმართლეს: არც მსახურებისათვის და არც მსახურისათვის არ მიცემია. ამგვარია მოქმედება ჩემს სიცოცხლეში არ ჩამიდენია არას დროს და არც ამ ჟამად ვარ ამის მოქმედი.

საქმის გარემოება ასეთია: წეს-რიგის დასაცავად სწავლის დროს ყოველი კორიდორის შესავალთან სდგას მეკარე, რომელიც მიუცილებლად უნდა იყოს დანიშნულს ადგილს, არავინ მოწაფეთაგანი არ გამოუშვას იქიდგან ნებადაურთველად და არც შეუშვას ვინმე. მეკარესა ჰყავს, რასაკვირველია, ამხანაგები, რომელნიც ეცვლებიან ხოლმე მას საჭიროების რიგის. იყო წლის განმავლობაში ორი-სამი შემთხვევა, რომ მეკარემ დააგდო თავის ადგილი ისე, რომ არავინ დაუტოვებია თავის მაგივრად, და ამან გამოიწვია წეს-რიგის დარღვევა. ამის გამო სასტიკი განკარგულება იყო გაცემული, რომ არავინ მსახურთაგანი თავის ადგილს არ მოშორდეს და მიზეზი არ შეიქნეს წესიერების დარღვევისა.

თოთხმეტს თუ თუთხმეტს ამ თვის რიცხვს აღმოჩნდა, რომ ერთს მეკარეს დაეგდო თავის ადგილი, და მოსწავლეებს ეწყოთ კორიდორში შესვლა-გამოსვლა უდროოდ და ურიგოდ. როდესაც ეს შევნიშე, ვიკითხე, სად არის მეთქი მეკარე. შეიქნა ძებნა და ბოლოს აღმოჩნდა, რომ იგი შესულა თავისუფალ საკლასო ოთახში და ეწევა სწმენდს შროთქით. შეველ იმ ოთახში და ვკითხე მას გაჯავრებულის კილოთი, რატომ არ ასრულებს იგი გაცემულს განკარგულებას, რათ დაუგდია თავის ადგილი ისე, რომ მაგიერი არავინ დაუტოვებია იქ; ეს ხომ არა ერთხელ აქვსთ მათ ნაბრძანები. ამ სიტყვების დროს გამოვართვი ხელიდან შროთქი და იქვე გადავაგდე ოთახში, ხოლო იგი, მსახური, გავისტუმრე მის ადგილზე სასტიკის ბრძანებით: „წადი შენს ადგილზე! გახსოვდეს, რომ არა გაქვს უფლება იქიდგან ფეხის მოცვლისა, სანამ შენს მაგივრად არავინ ჩამდგარა იქ შენის თანამდებობის აღსასრულებლად!“ არც ხელით, არც რითმე სხვით არ შევხებივარ. არც ერთი უკადრისი სიტყვა არ მიხმარია ამ დროს, რადგან ჩვეულება არა მაქვს სალანძღავი სიტყვების ხმარებისა. აი, ეს იყო, სხვა არაფერი. გაზეთში კი მოგეხსენებათ, რა დაისტამბა. უეჭველია, მსახურმა, თავის ჭკუით თუ სხვისი რჩევით, ისე გადასცა, როგორც „თანამედროვე აზრში“ დაიბეჭდა, მე არ გაუკვირვებივარ იმდენად მსახურის ამ საქციელს (რადგან მას არ ესმის რასა იქმს), მე უფრო ის მაკვირვებს და სავალალოდ მიმაჩნია, რომ ზოგმა რედაქციამ ასე ადვილად დაიჯერა. ვინ იცის ვისი მიტანილი ამბავი. დაურიდებლად მოექცნენ ადამიანის პიროვნებას და ეხებიან ხელშეუვალს საზოგადოებრივი დაწესებულებისას, სადაც რვაასი კაცი სწავლობს. მე იმას არ მოგახსენებთ, რომ ვისიმე ურიგო მოქმედება, ვისიც უნდა იყოს იგი, დაფარული დარჩეს, რომ მასზე ხმა არავინ ამოიღოს, - არა, ბატონებო, ყოველი ცუდი იქნეს გაკიცხული, მხოლოდ სავალდებულოა პირველად დავრწმუნდეთ მის სინამდვილეში, თორემ ვინ იცის, ვინ რა შეხედულობისა და რა მოტივით რას შესთხზავს სხვაზე. მადლობა ღმერთს, სინამდვილის გამოსარკვევად ბევრნაირი საშვალება არის ამ ჟამად, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ვეხებით პირს ან დაწესებულებას, რომელნიც იქვე არიან, იმ ქალაქში, სადაც რედაქციები იმყოფებიან.

საქმის გარემოება აქამდის ვერ ვამცნე მკითხველს საზოგადოებას, რადგან თბილისში არ გახლდით. იმედი მაქვს ის გაზეთები, რომელთაც დასტამბეს ხსენებული ამბავი, კეთილს ინებებენ და გადაბეჭდავენ ამ წერილს.

დავშთები თქვენი პატივისმცემელი, დირექტორი თბ. ქართულ-გიმნაზიისა

ალ. ჭიჭინაძე.

27 ღვინობისთვე 1915 წ. ტფ.

## რუსეთის ცხოვრება

**ხრუსტალევ-ნოსარის დაპატიმრება.** პეტროგრადში შეუპყრიათ და დაუპატიმრებიათ ყოფილი თავმჯდომარე მუშათა დეპუტატებისა, ხრუსტალევ-ნოსარი. ხრუსტალევ-ნოსარი ემიგრანტი იყო. სცხოვრობდა პარიზში, ხოლო ომის დაწყების შემდეგ იგი დაუბრუნდა. სამშობლოს. თავის ნებით ჩამოსული სამშობლოში წარუდგა მთავრობას. ხრუსტალევ-ნოსარი დააპატიმრეს და ახლო მომავალში ელიან მის გასამართლებას.

**რუსეთის საეკლესიო ქონება.** 1909 წლიდან სტატისტიკურ ცნობათა მიხედვით ძლიერ მრავლდება დედათა მონასტრები, მხოლოდ საგრძნობლად მცირდება მამაკაცთა აღკვეცილობა. 1909 წელს რუსეთში ითვლებოდა 873 მონასტერი, 1913 წელს ეს რიცხვი 943-მდე ასულა. ბერთა რიცხვი ნაკლებად მატულობს, მხოლოდ მონაზვნებისა რომელიც 1909 წელს უდრიდა 14,008. 1913 წელს 16,285 გახდარა, მხოლოდ მათი მსმენელთა რიცხვი ყოფილა 46,811 და 54,903, ჩამოთვლილ მონასტრებიდან. 275 მონასტერს ინახავს ხაზინა, მათ რიცხვში 171 მამათა. მონასტრების კაპიტალი არა ჩვეულებრივად იზრდება. 1911 წლიდან დარჩა 1,667,364 მ. ამას უნდა მიემატოს კიდევ ასაღები 16,761,622 მანეთი; 1912 წლიდან დარჩენილა 1,867,578 მანეთი, და ასაღები 61,054,546 მან. 1913 წლიდან ნაღდი მოგება 1,977,733 მან. და ასაღები სესხი 63,577,769 მან. მონასტერთა ქონებაში ითვლება კიდევ 802,436 დესეტინა მიწა და 308,396 ტყე.

## დეპეშები

**სტოკჰოლმი.** ბრიუსელიდან იუწყებიან, გერმანელებმა სამი ბელგიელი საველე სასამართლოს ძალით დახვრიტეს ჯაშუშობისთვის, მეოთხეს 12 წლის კატორღა მიუსაჯეს.

**რომი**, 26 ოქტ. როგორც ამბობენ, სალანდრა პალატათა თავმჯდომარის თანხმობით პარლამენტს მოიწვევს 17 ნოემბრისთვის.

**ჰავრი**, 26 ოქტ. მთელს ფრონტზე სამისო არა მომხდარა რა.

**პარიზი**, 26 ოქტ. მთელ ფრონტის გასწვრივ ბევრს ადგილას სასტიკი საარტილერიო ბრძოლა მოხდა, განსაკუთრებით არტუაში, ლოოსის სექტორებში და ჟივანშის ტყეში, შემდეგ მდ. აერის ჩრდილოეთით, ანდეშის მიდამოებში და ბოლოს შამპანში ტაგიურის აღმოსავლეთით მასრიჟის ჩრდილოეთით. სენ-მიშელის ჩრდილოეთით ჩვენმა ბატარეიამ გააფუჭა გერმანთა საჰაერო ფლოტის არტილერია.

**ლონდონი**, 26 ოქტ. 23 ოქტომბერის შეიარაღებული მოდარაჯე გემი „ტარა“ გერმანელთა წყალქვეშას მსხვერპლი გახდა ხმელთაშუა ზღვაში.

**პეტროგრადი**, 27 ოქტ. დაჭრილ და ავადმყოფ ჯარისკაცთა სასარგებლოდ გადადებულია 4,474,800 მანეთი. ის ფული ეგზავნებათ კავკასიაში მოქმედ კავშირთა კომიტეტს მოქმედების გასაცხოველებლად. 8,220,000 მან. გადასდო წითელი ჯვრისთვის დეფიცეტის დასაფარავად.

**თეირანი**, 26 ოქტ. გუშინ შაჰმა აუდენციაზე მიიღო რუსეთის ელჩი, შემდეგ იგივე ელჩი ინგლისელთა ელჩთან ერთად დიდხანს ბჭობდა სპარსელ მინისტრებთან ერთად. დღევანდელ ვითარების შესახებ. ბჭობის რეზულტატი არავინ იცის.

**ბუქარესტი**, 22 ოქტომ. დედოფალ ელისაბედის თვალის ოპერაციამ კარგად ჩაიარა.

**პეტროგრადი**, 26 ოქტ, სამხედრო-სამრეწველოს ცენტრალმა კომიტეტმა დაადგინა სამხედრო-მრეწველთა კომიტეტის საზოგადო კრება მოიწვიოს.

**რუსეთის [illegible]** დონის ღელეში [illegible] ხიდთან, დონიასა და ვერის შთა, ერთმა მხევრაგმა გაარღვია მტრის მთელი რაზმი. კორდევოლეს ღელეში ჩვენი წინსვლა ვითარდება. არავითარმა დაბრკოლებამ ვერ შეაჩერა ჩვენი ჯარები, არც მტრის მტკიცე სიმაგრეებმა, არც ადგილ მდებარეობის სიმაგრემ, არც თუ უამინდობამ. გუშინ დილით საარტილერიო სროლის შემდეგ ჩვენი რაზმები გაჰქანდნენ და მტრის პოზიცია დაიჭირა. აქნობამდე ტყვედ წამოყვანილია ასი კაცი, მათ შორის 4 აფიცერი, ერთი ტყვიის მფრქვეველი და მრავალი სამხედრო იარაღი. იზონტოზე ჩვენი არტილერია მარჯვედ მოქმედებს. საარტილერიო სროლის შემდეგ რამდენიმე ტყვე ჩაგვივარდა, 2 პატარა ყუმბარის მფრქვეველი და 1 ტყვიის მფრქვეველი.

**გერმანეთში მყოფ დატყვევებულების ნათესავთა საყურადღებოდ.**

ვისაც ჰსურს გერმანეთში მყოფ დატყვევებულებს გაუგზავნოს ფული ან სხვა რამ ამანათი, მან შემდეგის წესით უნდა იხელმძღვანელოს:

ამანათის („პოსილკა“) წონა არ უნდა აღემატებოდეს 12 გირვანქას. ყუთზე გერმანულად უნდა იყოს აღნიშნული ნამდვილი სია ყუთში ჩალაგებულ ნივთებისა. ყუთზე უნდა ეკრას ქაღალდი წარწერით:

> An die Kommandatur
> des Kriegsgefangenenlagers
>
> აქ დააწერეთ ლაგერის ადრესი.
>
> Liebesgaben für die russischen Kriegsgefangenen.
>
> აქ ბიურო საკუთარ ბეჭედს დაჰკრავს და ადრესს წააწერს.
>
> Deutschland.

საერთაშორისო საფოსტო შეთანხმების ძალით ასეთ ამანათს ფოსტა **უფასოდ** გზავნის, ეს ამანათი უნდა გაიგზავნოს შემდეგის მისამართით:

პირველი:

Suisse, Bern Ensingnenstrasse, № 48, A. A. Вахерахтъ.

ან კიდევ მეორე:

Banque populaire Suisse, Fond Russe pour les prisonnier de guerre.

**ცნობების მიღება უკვალოდ დაკარგულთა და ტყვეთა შესახებ** შეიძლება შვეიცარიაში არსებულ ბიუროდან, რომლის მისამართი ასეთია:

> Швейцарія — Заказное
> Suisse. Recommandée
> Comité International de la Rouge.
> Agence des prisonniers de guerre — Genéve.

რედაქტორ-გამომცემელი

**სანდრო შანშიაშვილი**

**ამიერ-კავკასიის რკინის გზის მიმოსვლა.**

(დრო ნაჩვენებია თბილის. საათით)

**თბილისში მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბაქოდან. | 12 ს. 54 წ. დღ. |
| № 4 | ბათომიდან. | 5 ს. 55 წ. საღ. |
| № 5 | ბაქოდან(სწრ.) | 7 ს. 41 წ. საღ. |
| № 10 | ბათომიდან. | 9 ს. 51 წ. დილ. |
| | ჯულფიდან | 6 ს. 53 წ. დილ. |
| | ბორჯომიდან | 7 ს. 25 წ. დილ. |
| | „ | საღ. 10 ს. 28 წ. საღ. |

**თბილისიდან გადის:**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | ბათომისკენ | 1 ს. 45 წ. დღ. |
| № 4 | ბაქოსკენ | 7 ს. 3 წ. საღ. |
| № 6 | ბაქოს(სწრ.) | 12 ს. 8 წ. დღ. |
| № 9 | ბათომისკენ. | 8 ს. 53 წ. საღ. |
| | ჯულფისკენ | 10 ს. 23 წ. საღ. |
| | ბორჯომისკენ | 3 ს. 29 წ. დღ. |

**კახეთის რკინის გზის მიმოსვლა**

(თბილისის დრო)

**მიმოსვლა ყოველდღე სწარმოებს.**

**თბილისიდან გადის:**

| | |
|---|---|
| თელავისა ♁ წნორისკენ დილ. | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მიდის ნაშუადღ. | 3 ს. 53 წ. |
| გურჯაანიდან გადის თელავისკენ ნაშუადღევს | 4 ს. 53 წ. |
| თელავში მიდის ნაშუადღევ. | 5 ს. 35 წ. |
| გურჯაანიდან წნორზე მიდის | 4 ს. 18 წ. |
| წნორზე მიდის . . . . . | 5 ს. 15 წ. |

**თელავიდან ყოველ დღე გამოდის თბილისსკენ:**

| | |
|---|---|
| დილის . . . . . | 8 ს. 58 წ. |
| გურჯაანში მოდის . . . | 10 ს. 26 წ. |
| წნორიდან თბილისსკენ გამოდის დილის. | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანში მიდის . . . | 10 ს. 16 წ. |
| გურჯაანიდან თბილისისკენ გამოდის დილის | 10 ს. 46 წ. |
| თბილისში ჩამოდის 5 საათზე. | |

წიგნის მაღაზია

**„ახალი სიტყვა“** („Новая рѣчь“).

ი. დ. კიკნაძისა.

თბილისი. გოლოვინის პროსპექტი, 22, ტელეფონი 6—23.

გვაქვს ყოველნაირი ახალი წიგნები; ვკისრულობთ ყოველნაირ ბიბლიოთეკის შედგენას: საზოგადოს, საეროს, საქარხნოს, სასკოლოს, საბავშვოს და სხ. განმანათლებელ საზოგადოებათა და სასწავლებელთა მიერ დაკვეთილ წიგნებზე განსაკუთრებულ მოლოგებით; ქალაქ გარეთიდან დაკვეთას ვასრულებთ ორ დღეში. წერილით ანუ პირადად ნაყიდი წიგნები შეიძლება ჩვენვე მივიტანოთ სახლში.

1 მაისიდან ქ. თბილისში გაიხსნა ჟურნალ-გაზეთების კანტორა

**„განათლება“**

ჯერჯერობით აგენტებს გაეგზავნებათ შემდეგი გაზეთები: „საქართველო“, „თანამედროვე აზრი“, „ეშ. მათრახი“, „თეატრი და ცხოვრება“, „კავკაზსკოე სლოვო“, „თბილისის ლისტოკი“, „ორიზონი“, „მშაკი“ და „ხათაბალა“ და იყიდება ახლად გამოცემული წიგნები ა. ბლდონის **„აკაკი და მისი პოეზია“** (რუსულ ენაზე), **„სქესობრივი საკითხი და ბავშვი“** ი. გომართელისა, **„მსოფლიო ომის ეკონომიური მიზეზები“** — მასლოვისა, **„ცხოვრების სიმღერები“** — ვეგლარ ახოსპირელისა **„კოოპერატივები იტალიაში“** — ნ. ჟორდანიასი და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

აგენტები ვალდებულნი არიან მთელი თვით დაკვეთილი გაზეთების ფასი წინდაწინ გადაიხადონ.

ფული და წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ почт. ящ. № 96, Сильвеструу Р. Таварткиладзе.

კანტორის ადრესი: Ольгинская 6.

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. მეგრელოვები**

**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**განყოფილება ავლაბარში**

**კახეთის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 6, ტელეფონი № 712**

ყოველ დღე მოგვდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „ლ. მაილოვის-შვით, სამრეწველოებიდან ახალი ქვირითის **ხიზალალა**, მცირე მარილიანი, შავი „მეშოხნი“ ხიზილალა, აგრეთვე ახალ-ახალი მტკვრის ზუთხი, თართი, ფარგა და ლოქო, გვაქვს აგრეთვე მიღებული ყოველგვარი კონსერვები და სარდინკები რუსეთის და საზღვარ-გარეთის ფირმებისა ხანგრძლივ ინახება.